NAEGLERIA FOWLERI – მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე საშიში თავისუფლად მცხოვრები ამებაა, რომელსაც სხვანაირად „ტვინის მჭამელ“ ამებასაც უწოდებენ. როგორც სურათიდან ჩანს, მისი სასიცოცხლო ციკლი მოიცავს შოლტიან და ამებოიდურ ტროფოზოიტებს და ცისტებს, რომელთაც გააჩნიათ ერთი ფორმიდან მეორე ფორმაში სწრაფი ტრანსფორმირების უნარი. საქართველოში ჯერჯერობით ეს პარაზიტი არ არის შემჩნეული.

ჩვენი აზრით, ასევე ძალიან საინტერესო პარაზიტს წარმოადგენს ტოქსოპლაზმა-Toxoplasma. ის ერთუჯ-

რედიანი პარაზიტია, მაგრამ თავისუფლად მცხოვრები ამებებისაგან განსხვავებით ის ცდილობს თვითონ არ გაანადგუროს თავისი შუალედური მასპინძელი და. რაც ყველაზე უცნაურია, ჩვენივე T მკვლელი უჯრედების საშუალებით ახერხებს საკუთარი ინდივიდების რაოდენობის შემცირებას. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ტოქსოპლაზმა შუალედური მასპინძლის ორგანიზმში გამოყოფს ტოქსინებს, რომლებიც გავლენას ახდენს შუალედურ მასპინძლის ნერვულ სისტემაზე და აიძულებს მათ, ვთქვათ ჩვენს შემთხვევაში ვირთხას კატას გამოეყიდოს და შედეგად სახეზე: კატა ვირთხას გადასანსლავს და ტოქსოპლაზმაც დეფინიტიურ მასპინძელში აღმოჩნდება და მრავლდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ტოქსოპლაზმა წარმოადგენს ოპორტუნიტულ პარაზიტს და HIV ვირუსით ადამიანის დაინფიცირების შემთხვევაში ყველა ადამიანის T მკვლელი უჯრედი სწორედ ამ ვირუსთან ბრძოლით არის დაკავებული(8) ამიტომ ტოქსოპლაზმა თავისი რაოდენობის დასარეგულირებლად T მკვლელ უჯრედებს ველარ პოულობს, სწრაფად მრავლდება და აქაც შედეგი სახეზეა: ადამიანი, რომელიც შიდასით არის დაავადებული ტოქსოპლაზმით კვდება, მაშინაც კი, როდესაც ავადმყოფი იყენებს ძვირადღირებულ წამალს მძიმე ვირუსული ინფექციის მოქმედების შესანელებლად. თუმცა ამ ბოლო დროს საქმე ამ მხრივ უკეთესობისაკენ მიდის და მკურნალობის პროცესი გაუმჯობესებულია. ახალი მონაცემების მიხედვით, ტოქსოპლაზმას შეუძლია ხელოვნურად გამოწვეული აპოპტოზის შეჩერება საცდელ ცხოველებში. გარდა ამისა, ტოქსოპლაზმა მომავალში შეიძლება გამოყენებული იქნას ნაოტეკნოლოგიაში თავის ტვინში სიმსივნის საწინააღმდეგო წამლების შესატანად, რამეთუ ტოქსოპლაზმა, ისევე როგორც ცოფის ვირუსი ადვილად გადალახავს თავის ტვინის დამცველობით ბარიერს, მაგრამ იგი ცოფის ვირუსთან შედარებით ნაკლებად მწვავე ინფექციას იწვევს. მეცნიერები ცდილობენ ტოქსოპლაზმა გადაიყვანონ ისეთ მდგომარეობაში, რომ იგი საშიში არ იყოს თავის ტვინისათვის როგორც ახალი ინფექციის წყარო. გარდა ამისა, დაფიქსირდა რომ ტოქსოპლაზმაში ჩართული მასპინძლის იმუნური სასიგნალო გზები იწვევდა სიმსივნის საწინააღმდეგო პასუხებს. საქართველოში ეს პარაზიტი ძირითადად ასიმპტომატურია, თუმცა იშვიათად გვხვდება მძიმე კლინიკური ფორმებიც (6).

ასევე მეტად უჩვეულო პარაზიტები გახლავთ შისტოსომები, რომლებიც სხვა მწოველებისაგან განსხვავებით ჰერმაფროდიტები არ არიან. არსებობენ როგორც მდედრი, ისე მამრი შისტოსომები. უფრო მეტიც, თუ ისინი პარტნიორებს ვერ პოულობენ, ძალიან იშვიათად ჰომოსექსუალი შისტოსომების არსებობაც შეინიშნება. აღსანიშნავია ისიც, რომ მამრსა და მდედრ ჭიებს შორის შეჯვარების დროს სპეციალური სიგნალების საშუალებით ხდება მათ შორის კავშირის დამყარება და ეს სიგნალები არეგულირებენ მდედრის რეპროდუქციულ განვითარებას და შემდგომ კვერცხუჯრედის წარმოებას. (4) ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი სახეობის შისტოსომოზის მკურნალობის დაწყების დაგვიანების შემთხვევაში, არ არის გამორიცხული ავთვისებიანი სამსივნის განვითარება. (7) საქართველოში ეს პარაზიტი არ გვხვდება. ისე ერთერთი უძველესი პარაზიტია მთელს მსოფლიოში არ-



გიორგი სეჟანია სტუმრად სამედიცინო უნივერსიტეტში

სეზულ პარაზიტებს შორის. უფრო მეტიც, მისი არსებობის კვალი ეგვიპტურ მუმებშიც კი არის დაფიქსირებული.



მდედრი და მამრი შისტოსომა (5)

და ბოლოს, ძალიან უჩვეულო და საშიში დაავადებაა ცისტიცერკოზი, რომელიც საქართველოშიც გვხვდება. ამ დაავადების გამომწვევი ღორის სოლიტერის ფინა ცისტიცერკი ოვალური ფორმისაა, სიგანით 0,5 სმ და მოთავსებულია მასპინძლის შემავრთებელქსოვილოვან კაფსულაში. სხეულის ისეთ ადგილებში, როგორიცაა ტვინის ზოგიერთი ნაწილი, მასპინძლისეური კაფსულა შეიძლება სულაც არ არსებობდეს და ამ დროს ღარვის დიამეტრმა შესაძლოა მიაღწიოს რამდენიმე

სანტიმეტრს. ცისტიცერკოზი შეიძლება სხეული ნებისმიერ ორგანოში განვითარდეს, მაგრამ განსაკუთრებით საშიშია როცა ცისტიცერკი თავის ტვინში ბინადრობს.

სწორედ აღნიშნული საკითხის საილუსტრაციოდ 15 მაისს თსსუ-ს ენვია ნეიროქირურგი გიორგი სეჟანია, რომელმაც წარმოადგინა უიშვიათესი კლინიკური შემთხვევა. მისი მონათხრობიდან გაირკვა, რომ პაციენტი გახლდათ მდედრობითი სქესის, სამწლიანი ანამნეზით იმყოფებოდა მეზობელ სახელმწიფოში, სადაც ონკოლოგიური დაავადების გამო ჩაუტარდა სარძევე ჯირკვლის სექტორული რეზექცია. სავარაუდო დიაგნოზი გახლდათ თავის ტვინის მეორადი სიმსივნე (ახალი მეტასტაზი). დაიგეგმა ოპერაცია, რომელიც წარმატებით განახორციელა ქართველმა ნეიროქირურგმა გიორგიმ სეჟანიამ. ქირურგის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ოპერაციული ჩარევის დროს შენიშნა 15 სმ-მდე სიგრძის ცოცხალი სოლიტერი, რომელიც გადაადგილებოდა თავის ტვინში. შემდგომში თავის ტვინიდან ამოღებული პარაზიტი გაიგზავნა პარაზიტოლოგიის ინსტიტუტში, სადაც დადგინდა რომ ეს იყო ღორის სოლიტერი – (*Taenia solium*) და არა მისი ფინა ცისტიცერკი. უნდა აღინიშნოს, ეს არის პირველი დადასტურებული შემთხვევა საქართველოში ცოცხალი ბრტყელი ჭიის არსებობის შესახებ თავის ტვინში. მსგავსი შემთხვევა აღწერილი იყო კალიფორნიაშიც, რამდენიმე წლის წინ. 26 წლის მამაკაცის თავის ტვინში.

რეზიუმე

ახალი გამოწვევები პარაზიტოლოგიაში

დავით ცხომელიძე, ლაშა ჭილიძე,
ნატალია ჭილაძე, თინათინ გოგიჩაძე
თსსუ, სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი

ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები ცხადყოფს, რომ 21-საუკუნეში პარაზიტოლოგიაში არსებული პრობლემები და გამოწვევები კიდევ უფრო მეტ დატვირთვას ანიჭებს ამ მეცნიერებას, რამეთუ გლობალური დათბობის ფონზე აშკარა ხდება, თუ რაოდენ დიდ გავლენას ახდენს პარაზიტი მასპინძლის ქცევაზე და მისი ცხოვრების ნირზე. შესაბამისად ის დიდი სენსაცია, (ვგულისხმობთ ადამიანის თავის ტვინში ზრდასრული პარაზიტის – ღორის სოლიტერის პოვნას) რომელიც საქართველოში დაფიქსირდა, ალბათ ერთგვარი მინიშნებაა იმაზე, რომ სამყაროში ყველა მიმართულებით უდიდესი ცვლილებები ხდება და თანამედროვე მეთოდებით შეიარაღებული მეცნიერებების განვითარების გარეშე უკვე უახლოეს მომავალში ჩვენ სრული კატასტროფის წინაშე ავლდომიანებით, თუ არ გავითვალისწინებთ არსებულ რეალობას.

NEW CHALLENGES IN PARASITOLOGY

DAVIT TSKHOMELIDZE, LASHA TCHELIDZE,
NATALIA CHILADZE, TINATIN GOGICHADZE
TSMU, Department of Medical Biology and Parasitology

The above cases demonstrate that the problems and challenges in parasitology in the 21st century place even greater emphasis on this science. Because in the context of global warming, it is becoming clear how much the parasite has an impact on the host's behavior and lifestyle. Accordingly, the great sensation (we mean the discovery of an adult parasite - the pig solitaire in the human brain) that was recorded in Georgia, perhaps it is a hint that the world is undergoing major changes in all directions, and without the development of sciences armed with modern methods, we will face a complete catastrophe in the near future, if we do not take into account the existing reality.

REFERENCES

1. [https://phys.org/news/2011-12-global-parasite-host-fish.html#:~:text=\(PhysOrg.com\)%20%2D%2D%20Parasitic,between%20parasites%20and%20their%20hosts](https://phys.org/news/2011-12-global-parasite-host-fish.html#:~:text=(PhysOrg.com)%20%2D%2D%20Parasitic,between%20parasites%20and%20their%20hosts).
2. <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0169534720300926>. 3)h
3. <https://www.ehagroup.com/resources/pathogens/acanthamoeba-spp-anaegleria-fowlerimeningitis/>
4. <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC2740793/>
5. <https://www.istockphoto.com/search/2/image-film?phrase=schistosoma>.
6. https://scholar.google.com/scholar?q=toxoplasma+against+cancer&hl=en&as_sdt=0&as_vis=1&oi=scholart
7. Burton J, Bogitsh, Clint E. Carternd Thomas N. Oletmann-HUMAN PARASITOLOGY; Academic Press -2019, p.p. 63-69, 137-142, 193-208, 245-248,
8. Carl Zimmer-PARASITE REX; 2015p.p. 109-125

რუსეთ-უკრაინის ომი და შავი ზღვის რეგიონში მოვლენათა განვითარების შესაძლო სცენარები

ნიკა ჩიტაძე,
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი.
მიმართულება: საერთაშორისო ურთერთობები

აბსტრაქტი

კვლევის ძირითადი მიზანია შავი ზღვა/კასპიის რეგიონის გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და გეოსტრატეგიული ვითარების ანალიზი და რუსეთ-უკრაინის ომის ფაქტორზე დაყრდნობით რეგიონში სიტუაციის განვითარების შესაძლო სცენარის წარმოდგენა. ამ კუთხით მოცემულია როგორც გეოპოლიტიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და უსაფრთხოების თვალსაზრისით მოვლენათა განვითარების პესიმისტური, ნეიტრალური და ოპტიმისტური სცენარები.

საკვანძო სიტყვები: შავი ზღვა, რეგიონული უსაფრთხოება, სცენარები, თურქეთი, რუსეთი, უკრაინა, საქართველო, აშშ, ნატო, ევროკავშირი

შესავალი

შავი ზღვის რეგიონის (BSR) ხელსაყრელი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მდებარეობის და რუსეთ-უკრაინის ომის გამო, რეგიონში განვითარებულ მოვლენებს მსოფლიო პოლიტიკისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. დღევანდელ ეტაპზე რეგიონში მიმდინარეობს გეოპოლიტიკური დაპირისპირება დასავლურ დემოკრატიულ ღირებულებებსა და რუსულ ავტორიტარიზმს შორის.

შავი ზღვის რეგიონში შესაძლო სამომავლო პროცესების უკეთ გასაგებად საინტერესო იქნებოდა რეგიონში სიტუაციის განვითარების სამი (პესიმისტური, ნეიტრალური და ოპტიმისტური) სცენარის განხილვა და ანალიზი. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

შავი ზღვის რეგიონში სიტუაციის განვითარების შესაძლო სცენარები

პესიმისტური სცენარი:

რუსეთის მიერ უკრაინაში წარმოებული ომისათვის უზარმაზარი დაფინანსების გამოყოფისა და ჩინეთთან, ირანთან, ჩრდილოეთ კორეასთან, ინდოეთთან და ა.შ. თანამშრომლობის გაძლიერების შედეგად, რუსეთს შეიძლება ჰქონდეს გარკვეული უპირატესობები უკრაინის ომში. მაგალითად, თუ რუსეთი შეძლებს დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებზე კონტროლს შეინარჩუნებს, იგი შეიძლება გამარჯვებულად ჩაითვალოს, რის შედეგად კრემლი და შეეცდება სხვადასხვა გზით გააძლიეროს თავისი პოზიციები მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის, მინიმუმ შეასუსტოს საქართველოს, მოლდოვის, ასევე სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების სუვერენიტეტი და გააგრძელოს ანტიდემოკრატიული ძალების მხარდაჭერა პოსტ-საბჭოთა

სივრცეში, რამაც შეიძლება შავი ზღვის რეგიონში შექმნას ახალი ვითარება – ევრაზიული და არალიბერალური ძალების დომინირებით;

რუსეთი გააგრძელებს ზენოლას საქართველოზე და მოლდოვაზე, რაც შეამცირებს საქართველოსა და მოლდოვას ოკუპირებული ტერიტორიების მშვიდობიანი გზით აღდგენის პერსპექტივებს;

შავი ზღვის რეგიონის გარდა, რუსეთი შეეცდება დამყაროს ანტიდემოკრატიული რეჟიმები მსოფლიოს სხვა რეგიონებში, როგორც ეს საბჭოთა იმპერიამ გააკეთა ცივი ომის დროს;

რუსეთი შეეცდება შეარყიოს კოლექტიური დასავლეთის (ნატო და ევროკავშირი) ერთიანობა. კერძოდ, ის შეეცდება დაუახლოვდეს თურქეთს შავი ზღვის რეგიონში გავლენის ნაწილობრივი გაყოფის მიზნით და ამით დაბლოკოს დასავლეთის ნებისმიერი შესაძლო ინიციატივები შავი ზღვის რეგიონში.

თუ რუსული გავლენა გაიზრდება, შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების მონაწილეობით არანაირი სატრანსპორტო და ენერგეტიკული პროექტი არ განხორციელდება. რუსეთი აიძულებს, მაგალითად, აზერბაიჯანს ან ყაზახეთს, რომ აღნიშნულმა ქვეყნებმა ნავთობისა და გაზის რესურსების ექსპორტი განახორციელონ რუსეთში და არა ევროპაში. მოცემულ შემთხვევაში „შუა დერეფნის“ კონცეფცია დაკარგავს თავის მნიშვნელობას და ჩინეთიდან ევროპაში ტრანსპორტირებული პროდუქციის უდიდესი ნაწილი რუსეთის ტერიტორიაზე გაივლის.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორის მიუხედავად, აღნიშნული სცენარის განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია შემდეგი ფაქტორების გამო:

- უკრაინაზე რუსეთის შესაძლო „გამარჯვების“ მიუხედავად, რუსეთი მიიღებს პარტიზანულ წინააღმდეგობას უკრაინის მთელ ტერიტორიაზე. ამრიგად, ის დიდხანს დარჩება უკრაინაში და ომის დასაფინანსებლად მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები დასჭირდება;

- მოსალოდნელია, რომ ჩინეთი არ იქნება დაინტერესებული რუსეთთან დაახლოებით „შუა დერეფნის“ მნიშვნელობის შემცირების ხარჯზე, რადგან ჩინეთი ეკონომიკურად უფრო მეტად არის დამოკიდებული დასავლეთზე, ვიდრე რუსეთზე. კერძოდ, მაგალითად, 2023 წელს ჩინეთსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობამ 782 აშშ დოლარი (Eurostat, 2024) შეადგინა, ხოლო აშშ-სთან ვაჭრობის მოცულობა 575 მილიარდ აშშ დოლარად იქნა შეფასებული (მტატიცა, 2024). რაც შეეხება ჩინეთის რუსეთთან ვაჭრობის მოცულობას, ის არ აღემატებოდა 227 მილიარდ აშშ დოლარს (Asia-Pacific, 2023).

ასევე აღსანიშნავია, რომ დასავლეთის დემოკრატიულ საზოგადოებას გაცილებით მეტი ეკონომიკური, ფინანსური და ტექნოლოგიური უპირატესობა გააჩნია, ვიდრე რუსეთს.

ნეიტრალური სცენარი

იმის გათვალისწინებით, რომ 2024 წლის დასაწყისისთვის, უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსული ჯარების ოპერატიული ჯგუფი შეადგენდა 470 ათას სამხედრო მოსამსახურეს (ლოყალ უნიტედ შერვიცეს 16-სტიტუტე, 2024) და ოკუპანტ ქვეყანას ჯერ კიდევ აქვს გარკვეული ფინანსური რესურსები და შესაძლებლობა აირიდოს სანქციების ნაწილი და გააგრძელოს სამხედრო მოქმედებები; ასევე თუ გაითვალისწინებთ რუსეთის პარტნიორობას მთელ რიგ ავტორიტარულ რეჟიმებთან (ჩრდილოეთ კორეა, ირანი) სამხედრო იარაღის იმპორტის მიზნით ერთის მხრივ და მეორეს მხრივ, უკრაინის შეიარაღებული ძალების მედგარ წინააღმდეგო-

ბას და დასავლეთის სამხედრო და ეკონომიკური მხარდაჭერას უკრაინის მიმართ, არსებობს გარკვეული მოლოდინები, რომ არსებული სტატუს კვო გარკვეული პერიოდის განმავლობაში შენარჩუნდება. ამ შემთხვევაში მსოფლიო ასე თუ ისე დარჩება ტრი-პოლარულ (სამპოლუსიანი) მდგომარეობაში, როდესაც პლანეტა გეოპოლიტიკური თუ იდეოლოგიური გავლენის ზონებად დაიყოფა. ერთის მხრივ, დასავლეთის გავლენა გლობალური ჩრდილოეთისა და დემოკრატიულად ორიენტირებული ქვეყნების უმეტესობაზე იქნება გარცელებული, მეორეს მხრივ, იარსებებს ბრიქსის (BRICS) და მისი მოკავშირეების (რუსეთის სხვა პარტნიორები) გავლენის ქვეშ მყოფი ტერიტორია, რომელიც დაუპირისპირდება დასავლეთს და მესამე, პოლიტიკურად ნეიტრალური ქვეყნების ჯგუფი – „მიუმხრომლობის მოძრაობის“ წევრები (მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე 120 ასეთი ქვეყანაა (Non-Aligned Movement, 2019), რომლებიც, რუსეთ-უკრაინის ომის ფარგლებში უარს იტყვიან როგორც რუსეთის, ასევე დასავლეთის რაიმე ტიპის მხარდაჭერაზე.

ოპტიმისტური სცენარი

აღნიშნულ ჰიპოთეტურ სცენარში შესაძლებელია ასევე წარმოვიდგინოთ ის დადებითი შედეგი, რომლის მიხედვითაც უკრაინის ხელისუფლების და შეიარაღებული ძალების ძალისხმევით და დასავლური დემოკრატიებისგან მიღებული მხარდაჭერის წყალობით უკრაინა გაიმარჯვებს. ამასთანავე, რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დანერგვის გამო, პუტინის რეჟიმი დროთა განმავლობაში თანდათან დასუსტდება. შესაბამისად, რუსეთს ნაკლებად შეეძლება გავლენის მოხდენა პოსტსაბჭოთა სივრცეზე, მაგალითად, შეაფერხოს სატრანსპორტო და ენერგეტიკული პროექტები შავი ზღვა-კასპიის რეგიონში. ეს ხელსაყრელი გარემო ხელს შეუწყობს შავი ზღვის რეგიონის (BSR) ქვეყნების, განსაკუთრებით უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოს შემდგომ ინტეგრაციას ევროპულ სტრუქტურებში. ასევე შეიქმნება ხელსაყრელი ნიადაგი შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და მათ ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრის მიმართულებით. მოცემულ კონტექსტში ჩნდება ახალი – ევროატლანტიკური მსოფლიო წესრიგის შექმნის შესაძლებლობა. მოცემული სცენარის მიხედვით ჩინეთი ყურადღებით დააკვირდება მოვლენებს უკრაინის წარმატების ფონზე და გაითვალისწინებს დასავლეთის უკრაინისადმი მხარდაჭერის მნიშვნელობას. აღნიშნული კი უბიძგებს ოფიციალურ პეკინს, რომ გაითვალისწინოს პოტენციური რისკები რუსეთთან ურთიერთობაში ცვალებადი გეოპოლიტიკური დინამიკის ფონზე.

გასათვალისწინებელი ძირითადი ფაქტორები და ასპექტები მოიცავს:

უკრაინა წარმატებით შეინარჩუნებს საკუთარ სახელმწიფოებრიობას და წარმატებით განხორციელდება ომის შედეგად დაზარალებული უკრაინის ეკონომიკური აღდგენა დასავლეთის ქვეყნების მიერ;

შეიქმნება ხელსაყრელი წინაპირობები ევროკავშირი/ნატო-ს გაფართოების მიმართულებით;

ისეთი ქვეყნები, როგორებიც არიან ჩინეთი, ინდოეთი და თურქეთი, უფრო მეტად იქნებიან ინტეგრირებული დასავლეთთან გეოპოლიტიკური ან გეოეკონომიკური თვალსაზრისით;

რუსეთი ვალდებული იქნება აანაზღაუროს უკრაინაში მისი აგრესიის შედეგად მიყენებული ზარალი, რომელიც მსოფლიო ბანკის გათვლებით დღევანდელი დღისათვის 411 მილიარდ აშშ დოლარს აღემატება (APNews, 2024);

შეიქმნება ხელსაყრელი ბაზა რეგიონული და გლობალური მნიშვნელობის პროექტების განსახორციელებლად, კერძოდ, TANAP-ის (ტრანს ანატოლიის ბუნებრივი აირის მილსადენი) პროექტის განხორციელების შედეგად 16-დან 32 მილიარდი მ³ ბუნებრივი აირი აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით თურქეთში იქნება ტრანსპორტირებული (Anadolu Ayansi, 2023), ასევე TAP (ტრანს ადრიატიკული მილსადენი) პროექტის ფარგლებში კასპიის ზღვის რეგიონიდან ევროპაში 10 მილიარდ მ³-ზე მეტი ბუნებრივი აირი იქნება ტრანსპორტირებული (Trans Adriatic Pipeline, 2024), ხოლო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მეშვეობით შესაძლებელი იქნება კასპიის რეგიონიდან მსოფლიო ბაზარზე (საქართველოს გავლით) დაახლოებით 50 მილიონი ტონა ნავთობის ექსპორტი (Global Energy Monitor, 2024). ყველა ამ პროექტის მთავარი მიზანია კასპიის ნავთობისა და გაზის ექსპორტი საერთაშორისო ბაზარზე, პირველ რიგში ევროპაში სამხრეთ კავკასიის რეგიონისა და თურქეთის გავლით. გარდა ამისა, არსებობს მოლოდინი ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის წარმატებით ამოქმედების შესახებ, რომელსაც შედეგად ევროპისა და აზიის კავშირების გაძლიერება, ცენტრალური აზიის, სამხრეთ კავკასიის/შავი ზღვის რეგიონის, თურქეთისა და ევროპის სარკინიგზო სისტემები. შესაბამისად, დაახლოებით 15 დღეში იქნება შესაძლებელი ჩინეთიდან ევროპაში ტვირთების ტრანსპორტირება (დაახლოებით 5-დან 17 მილიონ ტონა ტვირთამდე წელიწადში) და მომავალში დაახლოებით 5 მილიონი მგზავრის გადაყვანა (ჩინეთსა და ევროპას შორის საზღვაო მარშრუტის მეშვეობით ტრანსპორტირებას დაახლოებით 30-32 დღე სჭირდება). მეტიც, სტაბილური პოლიტიკური ვითარების შემთხვევაში, შუა დერეფნის ფუნქციონირების პირობებში წელიწადში აზიიდან ევროპაში შავი ზღვის რეგიონის გავლით დაახლოებით 10 მილიონ ტონაზე მეტი ტვირთის გადაზიდვა იქნება შესაძლებელი (ჩიტაძე, 2023). ასევე განხორციელდება შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი, რომლის მეშვეობითაც კავკასიიდან (პირველ რიგში აზერბაიჯანიდან) ევროკავშირში განახლებადი წყაროებიდან ელექტროენერგიის ექსპორტი იქნება შესაძლებელი (შავი ზღვის ფსკერზე კაბელის სიგრძემ 1195 კმ უნდა შეადგინოს) (ჩიტაძე, 2023 წ.).

დასკვნა

თანამედროვე ეტაპზე, გეოპოლიტიკურად, გეოეკონომიკურად და გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვანი შავი ზღვის რეგიონი მოვლით ნამყვანი გეოპოლიტიკური მოთამაშეების და ცივილიზაციათა დაპირისპირების მთავარ ცენტრს წარმოადგენს. შესაბამისად, რეგიონის წინაშე არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, დასავლეთის დემოკრატიულმა სამყარომ რეგიონისთვის ერთიანი და ყოვლისმომცველი უსაფრთხოების სტრატეგია უნდა შეიმუშავოს. აღნიშნულთან დაკავშირებით ალბათ აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს შემდეგი გარემოებები, კერძოდ:

იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინაში ომი არ დასრულებულა და მსოფლიო პოლიტიკურ წესრიგთან დაკავშირებით კარდინალური ცვლილებები მოსალოდნელი, დემოკრატიული ძალების გამარჯვებისთვის მთელ მსოფლიოში და შავი ზღვის/კასპიის რეგიონში აუცილებელია შემდეგი:

დასავლური დემოკრატიული საზოგადოების პასუხისმგებლობა:

– რუსეთის წინააღმდეგ სხვადასხვა სახის (5000-ზე მეტი ტიპის) სანქციების დაწესების, (მათ შორის ევროკავში-

რის მხრიდან სანქციათა 13 პაკეტის ჩათვლით) მიუხედავად, რუსეთის მშპ 2023 წელს დაახლოებით 3,6%-ით გაიზარდა (Voice of America, 2024). ამდენად, აუცილებელია გამოკვლეულ იქნეს, თუ როგორ მოახერხა რუსეთმა სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის (მაგალითად ჩინეთთან და ინდოეთთან) შედეგად, სხვადასხვა უკანონო გზების გამოყენებით, სანქციების თავიდან აცილება და ახალი მექანიზმების შემუშავება ოფიციალურ კრემლზე ზეწოლის შემცირების მიზნით. რამაც პუტინის რეჟიმის იმპერიალისტური ამბიციები კიდევ უფრო გაზარდა;

– თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით აუცილებელია რუსეთის მოსახლეობაში, მათ შორის ეროვნულ რესპუბლიკებში (მაგალითად, ჩეჩნეთი, თათარსტანი და ა.შ.) საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რომ უკრაინაში მიმდინარე მოვლენები ეს არის რუსეთის მიერ წარმოებული იმპერიალისტური ომი და არანაირი კავშირი მას არ აქვს ე.წ. უკრაინის “დენაციფიკაციასთან” და აღმოსავლეთ უკრაინის რუსულენოვანი მოსახლეობის “განთავისუფლებასთან” და ა.შ. ეს ფაქტორი ხელს შეუწყობს რუსეთში ომის სანაღმდეგო საპროტესტო მოძრაობას და გავლენას მოახდენს ეროვნულ რესპუბლიკებში ეროვნული იდენტობის ფაქტორებზე; შედეგად, არსებული შიდა პრობლემებიდან გამომდინარე კრემლს ნაკლები შანსი ექნება ჩაეროოს შავი ზღვის რეგიონში არსებულ ვითარებაში;

– იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინასთან ერთად არსებობს სიტუაციის დესტაბილიზაციისა და რუსეთის მორიგი სამხედრო აგრესიის საშიშროება საქართველოსა და მოლდოვას წინააღმდეგ, დასავლურმა დემოკრატიულმა საზოგადოებამ მაქსიმალურად უნდა დაუჭიროოს მხარი ამ ქვეყნებში დემოკრატიულ ძალებს – პირველ რიგში სამოქალაქო საზოგადოებას და ა.შ. ევროკავშირის ორი კანდიდატი ქვეყნის (რა თქმა უნდა უკრაინასთან ერთად) ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში მაქსიმალური დანაშაულების მიზნით;

– საქართველოსა და მოლდოვას ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოების მიერ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გაუქმების წინაპირობა, სავარაუდოდ, სამუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში არ უნდა იყოს მხოლოდ რუსული ჯარების გაყვანა უკრაინიდან და ზიანის კომპენსაცია ამ ქვეყნისთვის, არამედ სანქციების მოხსნის საკითხი შეიძლება დადგეს მხოლოდ იმ დროს, როდესაც რუსეთი სრულად გაიყვანს საოკუპაციო ჯარებს საქართველოდან და მოლდოვიდან და მოახდენს ორი ქვეყნის წინაშე ზარალის კომპენსაციას.

შავი ზღვის რეგიონის ძველების პასუხისმგებლობა

უკრაინამ, მოლდოვამ და საქართველომ, დემოკრატიული რეფორმების განხორციელების გზით უნდა გააგრძელონ ინტეგრაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში. ამ მხრივ ძალიან ბევრი თავად ამ სამ ქვეყანაზე იქნება დამოკიდებული. მოცემულ შემთხვევაში უნდა გაიზარდოს საზოგადოების ინფორმირებულობა ევროინტეგრაციის და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების და ა.შ. მნიშვნელობის შესახებ.

აზერბაიჯანმა და სომხეთმა უნდა აღიარონ, რომ ორივე ქვეყანა სამუდამოდ უნდა იყვნენ ერთმანეთის მეზობლები და მხოლოდ ორ ქვეყანას შორის მშვიდობიანი თანაცხოვრება ხელს შეუწყობს სტაბილური ვითარების შექმნას სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში და ორივე ქვეყნის სახელმწი-

ფოებრიობის განმტკიცებას. ეს ფაქტორი შექმნის ხელსაყრელ საფუძველს აზერბაიჯანსა და სომხეთს, თურქეთსა და სომხეთს შორის საზღვრების გასახსნელად და სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის განსავითარებლად.

ოფიციალურმა ანკარამ უნდა აღიაროს, რომ რუსეთი არ არის სანდო პარტნიორი არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური თვალსაზრისით, ფოკუსირება მოახდინოს დასავლურ დემოკრატიულ საზოგადოებასთან ურთიერთობების გაღრმავებაზე და წვლილი შეიტანოს შავი ზღვის რეგიონში ნატოს გააქტიურებაში;

რუმინეთმა და ბულგარეთმა, როგორც ნატოს და ევროკავშირის წევრებმა შავი ზღვის რეგიონიდან, უნდა გააგრძელონ უკრაინის მხარდაჭერა ომში უკრაინის ეკონომიკური დახმარების განვითარებას და მათ ტერიტორიაზე აშშ-ს სამხედრო ყოფნის გაზრდის გზით.

რომ შევავჯამოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შავი ზღვის რეგიონში იზრდება ისეთი მსოფლიო მოთამაშეების სტრატეგიული ინტერესები და აქტივობები, როგორცაა აშშ და ჩინეთი. ეს ინტერესები მოიცავს ენერგეტიკულ პროექტებს, სამხედრო ყოფნას, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ვაჭრობას და გეოპოლიტიკურ გავლენას, რაც რეგიონს აქცევს მათი სტრატეგიული ურთიერთქმედების და კონკურენციის ცენტრად. ამ მოვლენებს სერიოზული გავლენა ექნება შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე, სტაბილურობა-სა და გეოპოლიტიკაზე და რეგიონის საერთაშორისო პროცესებში უფრო მეტ ჩართულობაზე.

რეზიუმე

რუსეთ-უკრაინის ომი და შავი ზღვის რეგიონში მოვლენათა განვითარების შესაძლო სცენარები

ნიკა ჩიტაძე,

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი.

მიმართულება: საერთაშორისო ურთიერთობების

კვლევის ძირითადი მიზანია შავი ზღვა/კასპიის რეგიონის გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და გეოსტრატეგიული ვითარების ანალიზი და რუსეთ-უკრაინის ომის ფაქტორზე დაყრდნობით რეგიონში სიტუაციის განვითარების შესაძლო სცენარის წარმოდგენა. ამ კუთხით მოცემულია როგორც გეოპოლიტიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და უსაფრთხოების თვალსაზრისით მოვლენათა განვითარების პესიმისტური, ნეიტრალური და ოპტიმისტური სცენარები.

SUMMARY

THE RUSSIAN-UKRAINIAN WAR AND POSSIBLE SCENARIOS FOR THE DEVELOPMENT OF EVENTS IN THE BLACK SEA REGION

NIKA CHITADZE.

Professor of the International Black Sea University. Direction: International Relations

The main goal of the study is to analyze the geopolitical, geoeconomic and geostrategic situation in the Black Sea/Caspian region and to present a possible scenario for the development of the situation in the region based on the factor of the Russian-Ukrainian war. In this regard, pessimistic, neutral and optimistic scenarios for the development of events from the geopolitical, political, economic, military and security points of view are given.

ლიტერატურა

- Anadolu Agency, 2023. Türkiye-Russia trade volume to exceed \$65B in 2023. Retrieved from: <https://www.aa.com.tr/en/energy/nuclear/turkiye-russia-trade-volume-to-exceed-65b-in-2023/39413>
- APnews, 2023. World Bank puts cost of rebuilding Ukraine at \$411 billion <https://apnews.com/article/ukraine-russia-war-damage-world-bank-6ecb537d2ab78a347306883603e65c33>
- Asia-Pacific, 2023. Russia-China trade volume reaches record \$227 Billion. Retrieved from: <https://www.aa.com.tr/en/asia-pacific/russia-china-trade-volume-reaches-record-227b/3132092>
- Chitadze, N. 2023. Black Sea Energy submarine cable – New Transit role of Georgia and Sustainability of the Middle Corridor. February 10, 2023. <https://azerbaijantoday.az/2023/02/10/black-sea-energy-submarine-cable-new-transit-role-of-georgia-and-sustainability-of-the-middle-corridor/?fbclid=IwAR3wg3raXHtugjKO344WDCig34Nbxv9MsSLYhCZZDk3jEW74bPgcDPVh50o>
- Eurostat, 2024. China-EU - international trade in goods statistics. Retrieved from: https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=China-EU_-_international_trade_in_goods_statistics
- Global Energy Monitor. 2024. Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline. Retrieved from: https://www.gem.wiki/Baku-Tbilisi-Ceyhan_Pipeline
- Non-Aligned Movement, 2019. Member States. Retrieved from: <https://web.archive.org/web/20190327085806/https://mn-al.org/nam-members/>
- Royal United Services Institute, 2024. Russian Military Objectives and Capacity in Ukraine Through 2024. Retrieved from: <https://www.rusi.org/explore-our-research/publications/commentary/russian-military-objectives-and-capacity-ukraine-through-2024>
- Trans Adriatic Pipeline, 2024. Trans Adriatic Pipeline operates 877 kilometers of pipeline, in line with world-class performance standards of preparedness and accountability. Retrieved from: <https://www.tap-ag.com/infrastructure-operation/how-tap-operates>
- Voice of America, 2024. Russia's Economy Grew in 2023, Despite War and Sanctions. Retrieved from: <https://www.voanews.com/a/russia-economy-grew-in-2023-despite-war-and-sanctions/7478952.html>

HELICOBACTER PYLORI ინფექცია ბავშვებსა და მოზარდებში მართვის თანამედროვე რეკომენდაციები

მ.დ. ც. ფარულავა, მ.დ. ი. ხურცილავა, მ.დ. მ. ჩხაიძე
ი. ციციშვილის სახ. პედიატრიული კლინიკა
პ.შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემია

აქტუალობა. *Helicobacter Pylori* (H.P) აერობული გრამ-მუარყოფითი ბაქტერიაა, რომელიც ბინადრობს კუჭის ამოფენი ეპითელის მფარავ ლორწოში. ის ადამიანის ორგანიზმში ხვდება ბავშვობაში და ასაკთან ერთად შესაძლებელია გახდეს კუჭის მიკრობიომის შემადგენელი კომპონენტი. ჰელიკობაქტერს უკავშირდება მოზარდულ ასაკში ისეთი დაავადებების და გართულებების რისკი, როგორიცაა: ატროფიული გასტრიტი, პეპტიური წყლული, ლიმფომა და გასტრალური ადენოკარცინომა. აქტიური შესწავლის ფაზაშია ამ ინფექციის კავშირი ნაწლავის ანთებით დაავადებებთან და ალერგიულ დაავადებებთან.

გავრცელება ზოგად პოპულაციაში მაღალია, მაგრამ ინფიცირებულების 90% ასიმპტომურია. ეს პირველ რიგში ეხება ბავშვებს, ისინი ასიმპტომური არიან და გართულებებიც იშვიათია. ბავშვთა ასაკში განსხვავებული იმუნოლოგიური პასუხის გათვალისწინებით ტესტირების და მკურნალობის ტაქტიკაც განსხვავებულია და ჩარევის აუცილებლობაც განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს.

ინფექციის მაღალი და მზარდი ანტიბაქტერიული რეზისტენტობის გამო ერადიკაცია იოლი არ არის. ამიტომ მუდმივად ხდება ისეთი ალტერნატიული მკურნალობის ძიება, რომელიც 90%-იან ერადიკაციის ეფექტურობას მოგვცემს. აქტიურად მიდის მუშაობა ვაქცინის შექმნასთან დაკავშირებითაც.

კიოტოს კონსენსუსის მიხედვით *Helicobacter Pylori* -ით ინფიცირება მიჩნეულია ინფექციურ დაავადებად. ვინაიდან ჯანმოს მიერ ეს აგენტი აღიარებულია ნომერ 1 კარცინოგენად, ძალზე აქტუალურია საკითხი, თუ როდის და რომელ კონტიგენტში უნდა მოხდეს ტესტირება და მკურნალობა. *Helicobacter Pylori*ს იდენტიფიკაცია, ერადიკაცია და მკურნალობის შემდგომი საკონტროლო ტესტირება ბევრ ქვეყანაში მანდატორული გახდა.

ეპიდემიოლოგია. *Helicobacter pylori*-ის გავრცელება ზოგად პოპულაციის 50%-ია და ვარირებს გეოგრაფიული არეალის და ქვეყნების მიხედვით. გავრცელება შედარებით დაბალია განვითარებულ ქვეყნებში და დაახლოებით 34.7%, საშუალო სოციალურ ეკონომიური შეძლების ქვეყნებში კი 50.8%-ს შეადგენს. ყოველწლიურად განვითარებად ქვეყნებში სიხშირე 3-10%-ით, განვითარებულ ქვეყნებში კი 0.5%-ით იზრდება. უფრო გავრცელებულია მოზრდილ ასაკში, ვიდრე ბავშვებში.

სისტემური მიმოხილვით დგინდება, რომ გავრცელება ბავშვებში მსოფლიოს მასშტაბით 32.3%-ია, ინდუსტრიულ ქვეყნებში ინფიცირებულია 12 წლამდე ასაკის ბავშვების 10 %-მდე, განვითარებად სამყაროში 43.2%.

ინფიცირების სიხშირე ასაკის მატებასთან ერთად იზრდება.

ინფექციის ტრანსმისია ხდება ერთი პირიდან მეორე პირზე ახლო კონტაქტის შემთხვევაში, ეს ძირითადად ხდება ოჯახის წევრებს შორის, ხშირია დედიდან

ბავშვზე გადაცემა. ნერწყვი ინფიცირების ყველაზე ხშირი წყაროა. გადაცემის გზა ორალურ-ორალური ან ფეკალურ-ორალურია. სამედიცინო ინსტრუმენტები და კონტამინირებული წყალი ასევე შეიძლება გახდეს ინფიცირების მიზეზი. დაბალი სოციალურ-ეკონომიური შეძლების რეგიონებში ფეკსირდება გადაცემა რძით, ხორციით და ბოსტნეულით. საწოვრის ხმარება მნიშვნელოვნად ზრდის რისკს. ბავშვთა კოლექტიურ დაწესებულებებში ინფიცირების ალბათობა მაღალია. ინფიცირების მაღალი რისკი აქვთ ექიმ-სტომატოლოგებს და ენდოსკოპისტებს.

პათოფიზიოლოგია. *Helicobacter pylori*-ის გამძლეობა და ვირულენტობა აგრესიულ მჟავე გარემოში უკავშირდება რამდენიმე ფაქტორს: ფორმას, მოტორულ აქტიობას, ჟანგბადზე დაბალ მოთხოვნილებას, მოლეკულური მიმიკრიის და ადჰეზიის უნარს კუჭის ზოგიერთ უჯრედზე და ენზიმების გამომუშავების უნარს. ახდენს რა ლორწოვანის კოლონიზაციას და ანთებითი ციტოკინების პროდუქციას, იწვევს კუჭის ლორწოვანის ანთებითი პროცესის განვითარებას. თუ ეს ანთება უპირატესად ანტრალურ ნაწილში დომინირებს, იზრდება კუჭის მჟავე სეკრეტის პროდუქცია და შესაბამისად იზრდება პეპტიური წყლულის განვითარების ალბათობა. მაგრამ თუ ანთება ტოტალურია ან უპირატესად ორგანოს ფუნდალურ ნაწილზე ვრცელდება, მაშინ ადგილი აქვს გასტრალური სიმჟავიანობის დაქვეითებას და იზრდება ატროფიული ცვლილებების განვითარების შესაძლებლობა შემდგომში ინტესტინალური მეტაპლაზიის და გასტრალური ადენოკარცინომის გაზრდილი რისკით.

კლინიკური მანიფესტაცია, *Helicobacter pylori* ახდენს გასტრალური ლორწოვანის კოლონიზაციას ბავშვობაში, თუმცა ამ ბავშვების 85% უმეტეს შემთხვევაში ასიმპტომურია და ერადიკაციის გარეშე ეს კოლონიზაცია გრძელდება წლები. კლინიკური მანიფესტაცია ყველაზე ხშირად 10 წლის ასაკიდან ვლინდება. ინფიცირებას და ისეთ გასტროინტესტინურ ჩივილებს შორის, როგორიცაა: ღებინება, დიარეა, მეტეორიზმი, ქრონიკული ფუნქციური აბდომინური ტკივილი, ჰაელიტოზი, რეგურგიტაცია, ყაბზობა, გულისრევის შეგრძნება – სტატისტიკურად დადასტურებული კავშირი არ გამოვლინდა. სამაგიეროდ სტატისტიკურად სარწმუნოა *Helicobacter Pylori*-ით ინფიცირების კავშირი ეპიგასტრალურ ტკივილთან, მორეციდივე ღებინებასთან, სისხლდენასთან გასტროენტეროლოგიური ტრაქტიდან, უცნობი ეტიოლოგიის რკინადეფიციტურ ანემიასთან, მალნუტრიციასთან. *Helicobacter Pylori* შესაძლებელია გარკვეულ როლს თამაშობდეს ზოგიერთი ექსტრაინტესტინური დაავადების განვითარებაში. მაგ. იდიოპათიური თრომბოციტოპენიური პურპურა, ჰენოხ-შონლაინის დაავადება, ბრონქული ასთმა, სხვა ალერგიული დაავადებები, ნაწლავის ანთებითი დაავადება. ამ მიმართულებით კვლევები გრძელდება. შესაბამისად ტესტირებას საჭიროებს ის კონტიგენტი,

რომელსაც აქვს ეპიგასტრალური ტკივილი ასოცირებული საკვების მიღებასთან ან ე.წ. „ნითელი დროშები“. დღემდე კამათის თემაა საჭიროა თუ არა ერადიკაცია, თუ არ არის პეპტიური წყლული. მიუხედავად იმისა, რომ ჰელიკობაქტერი აღიარებულია კარცინოგენად, შემთხვევითი აღმოჩენის შემთხვევაში ერადიკაციის აუცილებლობა დადგენილი არ არის. ტესტირება არ არის რეკომენდებული სავარაუდო ფუნქციური აბდომინური ტკივილის ან გერის შემთხვევაში. შესაბამისად მშობლებს უნდა აეხსნას, რომ მიუხედავად ერადიკაციისა, ჩვილების აღმოფხვრა ასეთ შემთხვევაში არ მოხდება.

მართვის რეკომენდაციები. ეფექტური მართვის ძირითადი პირობაა:

1. ტესტირება მხოლოდ ჩვენების შემთხვევაში;
2. სადიაგნოსტიკო ტესტის სწორად შერჩევა;
3. პირველი რიგის თერაპიის შერჩევა;
4. ერადიკაციის ეფექტურობის დადასტურება.

ევროპის ბავშვთა გასტროენტეროლოგიის, პეპატოლოგიის და ნუტრიციოლოგიის საზოგადოების (ESPGHAN) მართვის რეკომენდაციები 2016 წლის გაიდლაინის მიხედვით:

1. ენდოსკოპია გამართლებულია გასტროენტეროლოგიური ჩივილების მიზეზის და არა H.P-ით ინფიცირების ფაქტის დასადგენად, რადგან თუ პაციენტს არ უდასტურდება გასტრალური ან დუოდენური წყლულოვანი დეფექტი ან ეროზია, ერადიკაციული თერაპია დიდი ალბათობით არ გააუმჯობესებს მის მდგომარეობას;

2. H.P ინფექციის ინიციალური დიაგნოსტიკა რეკომენდებულია ინვაზიური მეთოდით გასტრალური ბიოფსიის შედეგებზე დაყრდნობით. ინიციალური დიაგნოსტიკა არ ტარდება არაინვაზიური ტესტებით. გამონაკლისია ის შემთხვევები, როცა ჰისტომორფოლოგიური შედეგები დადებითია და ობიექტური მიზეზების გამო კერ ტარდება H.P დიაგნოსტიკა ბიოფსიურ მასალის კვლევით (ურეაზას ტესტი, PCR ან FISH).

H.P ინფექციის ერადიკაციის ჩვენებაა:

- ა) პოზიტიური ბაქტერიული კულტურა;
- ბ) გასტრიტი ჰისტომორფოლოგიურად და მინიმუმ ერთი დადებითი ტესტი (ურეაზას ტესტი, PCR ან FISH);

3. ენდოსკოპიის დროს მხოლოდ ანტრალური ნოდულარული გასტრიტი წყლულოვანი დეფექტის გარეშე არ არის ურეაზა ტესტის და კულტურისთვის ბიოფსიური მასალის აღების ჩვენება. ჰელიკობაქტერ-ასოცირებული ნოდულარული გასტრიტის მართვა წყლულოვანი პროცესის გარეშე დილემმა ბავშვთა გასტროენტეროლოგებისთვის, ვინაიდან ერთი მხრივ, ჰელიკობაქტერ დადებითი გასტრიტი ბავშვებში ძალიან იშვიათად პროგრესირებს უფრო სერიოზულ პროცესებში, მეორეს მხრივ, არ არის გამორიცხული მომავალში რეინფექციის ალბათობა, ამიტომ ჰელიცობაქტერ Pylori-ს კოლონიზაციის დაფიქსირების შემთხვევაში სასურველია მშობლებთან საუბარი ინფიცირების მორეული შესაძლო გართულებების და ერადიკაციული თერაპიის გვერდითი ეფექტების შესახებ (რეზისტენტობა, ნაწლავის მიკრობიომის ცვლილებები, დიარეა, მუცლის ტკივილი და სხვა) და ერადიკაციის ჩატარება მხოლოდ მათი სურვილის შემთხვევაში;

4. H.P-ზე ტესტირება (როგორც ინვაზიური, ისე არაინვაზიური მეთოდებით) რეკომენდებულია ანტიბიოტიკის მიღებიდან 2 და ანტისეკრეციული პრეპარატების მიღებიდან 4 კვირის შემდეგ, რადგან ანტიბიოტიკოთერაპია მკვეთრად ამცირებს ბაქტერიულ ზრდას და შესაძლებელია გახდეს ცრუ უარყოფითი შედეგების მიზეზი. თუ ანტისეკრეციული მეურნალობის შეწყვეტა ვერ ხერხდება, დიაგნოსტიკური ტესტის მგრძნობელობის ხელშეშლება ზრდისთვის რეკომენდებულია მისი შეჩერება მინიმუმ 2 დღე.

ბის მიზეზი. თუ ანტისეკრეციული მეურნალობის შეწყვეტა ვერ ხერხდება, დიაგნოსტიკური ტესტის მგრძნობელობის ხელშეშლება ზრდისთვის რეკომენდებულია მისი შეჩერება მინიმუმ 2 დღე.

5. დიაგნოსტიკური ტესტირება (ინვაზიური, არაინვაზიური) არ არის რეკომენდებული ფუნქციური აბდომინური ტკივილის შემთხვევაში. ტესტირება გაუმართლებელია რომი IV დიაგნოსტიკური კრიტერიუმების მიხედვით დადასტურებული ფუნქციური მუცლის ტკივილის დროს მით უმეტეს, თუ არ ვლინდება განგამის ნიშნები (დისფაგია, ოდინოფაგია, პერსისტიული ლებინება, გასტროინტესტინური სისხლდენა, წონის კარგვა, ზრდის შეფერხება, ცხელება, ნაწლავის ანთებითი დაავადების, ცელიაკიის, პეპტიური წყლულის ოჯახური ისტორია). ერადიკაცია არ ამცირებს მორეციდივე მუცლის ტკივილის ეპიზოდებს, ხოლო ენდოსკოპიის ჩატარების რეკომენდაცია ზრდის ბავშვის და მშობლის შფოთვის ხარისხს;

6. დიაგნოსტიკური ტესტირება (ინვაზიური, არაინვაზიური) არ არის რუტინული კვლევა რკინადეფიციტური ანემიის დროს. ენდოსკოპია ბიოფსიით პეპტიური წყლულის და გახანგრძლივებული ფარული სისხლდენის გამოსარიცხად შესაძლებელია ჩატარდეს მხოლოდ რეფრაქტორული რკინადეფიციტური მდგომარეობის შემთხვევაში;

7. ქრონიკული იმუნური თრომბოციტოპენიური პურ-პურის შემთხვევაში დასაშვებია H.P-ის არაინვაზიური დიაგნოსტიკა;

8. არ არის სწორი ტაქტიკა „გატესტე და უმკურნალე“.

H.P. ინფექცია პეპტიური წყლულის გარეშე არ არის მუცლის ტკივილის და დისპეპსიური ჩივილების მიზეზი, შესაბამისად არაინვაზიური ტესტირების დადებითი შედეგები არ არის ერადიკაციის ჩვენება;

ტესტირება და ერადიკაციული თერაპია ესაჭიროება მხოლოდ ბავშვებს პეპტიური წყლულით. თუ ენდოსკოპიის დროს ფიქსირდება წყლული, ეროზია, ნაწიური, ნაწვენებია ბიოფსია და კვლევა ჰელიკობაქტერზე. ერადიკაციული თერაპიას შეუძლია წყლულოვანი პროცესის რეციდივის პრევენცია.

9. H.P აქტიური ინფიცირების და ჩატარებული ერადიკაციის ეფექტურობის შესაფასებლად არ არის რეკომენდებული სეროლოგიური ტესტირება;

10. მზარდი რეზისტენტობიდან გამომდინარე იდეალურია ანტიბიოტიკოთერაპიის შერჩევა ბიოპტატის კულტურის ანტიბიოტიკებისადმი მგრძნობელობაზე შესწავლის საფუძველზე. ვინაიდან ეს ყოველთვის შესაძლებელი არ არის,

პირველი რიგის თერაპიის ემპირიულად შერჩევის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ანტიმიკრობული რეზისტენტობის ეროვნული/რეგიონალური თავისებურებები და კონკრეტული პაციენტის სავარაუდო რეზისტენტობა ადრე ჩატარებული მეურნალობის გათვალისწინებით.

11. პირველი რიგის თერაპია. რუტინული ერადიკაცია გულისხმობს სამმაგ თერაპიას 10-14 დღის განმავლობაში. იდეალური ემპირიული კომბინაცია ბავშვების და მოზარდებისთვის: პროტონის ტუმბოს ინჰიბიტორი, ამოქსიცილინი და კლარიტრომიცინი. მთელ რიგ ქვეყნებში ფიქსირდება მზარდი რეზისტენტობა კლარიტრომიცინის (15%) და მეტრონიდაზოლის მიმართ. თუ პირველი რიგის თერაპია არაეფექტური აღმოჩნდება, დამატებითი კვლევის გარეშე უნდა მოხდეს გადასვლა რეჟიმზე: პროტონის ტუმბოს ინჰიბიტორი, ამოქსიცილინი, მეტრონიდაზოლი.

მოზრდილებისთვის იდეალურ პირველი რიგის კომბინაციად ითვლება: პროტონის ტუმბოს ინჰიბიტორი, ამოქსიცილინი, მეტრონიდაზოლი და კლარიტრომიცინი.

ქვადროთერაპია ბისმუტის პრეპარატებით გულისხმობს 8 წლამდე ასაკში ბისმუტის, პროტონის ტუმბოს ინჰიბიტორი, ამოქსიცილინი და მეტრონიდაზოლის კომბინაციას, 8 წლის შემდეგ ბისმუტის, პროტონის ტუმბოს ინჰიბიტორი, მეტრონიდაზოლი და ტეტრაციკლინი. ბისმუტის ჩართვა მკურნალობაში ეფექტურია და გამართლებულია, როცა უცნობია ინფექტის რეზისტენტობა და მგრძნობელობა, ან თუ ადგილი აქვს ორმაგ რეზისტენტობას კლარიტრომიცინის და მეტრონიდაზოლის მიმართ. ასეთი კომბინაცია უფრო ეფექტური აღმოჩნდა ორმაგი რეზისტენტობის დროს, ვიდრე ამოქსიცილინის მაღალი დოზებით თერაპია.

12. წარმატებული ერადიკაციის დასადასტურებლად აუცილებელია მონიტორინგი ანტიბიოტიკოთერაპიის

დასრულებიდან 4-6 და ანტისეკრეციული მედიკამენტებით თერაპიის დასრულებიდან 2 კვირის შემდეგ. ერადიკაციის ეფექტურობის კონტროლი შესაძლებელია სუნთქვის (ურეაზას) ტესტით ან განავლის კვლევით ჰელიკობაქტერის ანტიგენზე;

13. თუ ერადიკაცია წარუმატებელია, რეკომენდებულია მეორე რიგის (ე.წ. „რესცუე“) თერაპია. მკურნალობა ინდა შეირჩეს ინდივიდუალურად პაციენტის ასაკის, ანტიბიოტიკრეზისტენტობის, წინა ჯერზე გამოყენებული ანტიბიოტიკების საშუალებების გათვალისწინებით.

2023 წლის ევროპის ბავშვთა გასტროენტეროლოგიის, ჰეპატოლოგიის და ნუტრიციოლოგიის საზოგადოების (ESPGHAN) რეკომენდაციების მიხედვით H.P. ინფიცირებულ ბავშვებში რეკომენდებულია ერადიკაციულ თერაპიასთან ერთად პრობიოტიკის დამატება ერადიკაციის ეფექტურობის გაზრდის და თერაპიასთან დაკავშირებული კუჭ-ნაწლავის გვერდითი მოვლენების შემცირების მიზნით.

რეზიუმე

HELICOBACTER PYLORI ინფექცია ბავშვებსა და მოზარდებში

მართვის თანამედროვე რეკომენდაციები

მ.დ. ც. შარულავა, მ.დ. ი. ხურცილავა, მ.დ. მ. ჩხაიძე

ი. ტიტისვილის სახ. პედიატრიული კლინიკა
პ.შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემია

Helicobacter Pylori (H.P) აერობული გრამუარყოფითი ბაქტერიაა, რომელიც ბინადრობს კუჭის ამომფენი ეპითელის მფარავ ლორწოში. ის ადამიანის ორგანიზმში ხვდება ბავშვობაში და ასაკთან ერთად შესაძლებელია გახდეს კუჭის მიკრობიომის შემადგენელი კომპონენტი. ჰელიკობაქტერს უკავშირდება მოზრდილ ასაკში ისეთი დაავადებების და გართულებების რისკი, როგორიცაა: ატროფიული გასტრიტი, პეპტიური წყლული, ლიმფომა და გასტრალური ადენოკარცინომა. აქტიური შესწავლის ფაზაშია ამ ინფექტის კავშირი ნაწლავის ანთებით დაავადებებთან და ალერგიულ დაავადებებთან.

სტატია ასკვნის, რომ 2023 წლის ევროპის ბავშვთა გასტროენტეროლოგიის, ჰეპატოლოგიის და ნუტრიციოლოგიის საზოგადოების (ESPGHAN) რეკომენდაციების მიხედვით H.P. ინფიცირებულ ბავშვებში რეკომენდებულია ერადიკაციულ თერაპიასთან ერთად პრობიოტიკის დამატება ერადიკაციის ეფექტურობის გაზრდის და თერაპიასთან დაკავშირებული კუჭ-ნაწლავის გვერდითი მოვლენების შემცირების მიზნით.

SUMMARY

HELICOBACTER PYLORI INFECTION IN CHILDREN AND ADOLESCENTS.

MODERN MANAGEMENT RECOMMENDATIONS

M.D. TS. PARULAVA, M.D. I. KHURTSILAVA, M.D. M. CHKHAIDZE

I. Tsitsishvili Pediatric Clinic
P. Shotadze Tbilisi Medical Academy

Helicobacter Pylori (H.P) is an aerobic gram-negative bacterium that inhabits the mucus covering the gastric epithelium. It enters the human body in childhood and with age can become a component of the gastric microbiome. *Helicobacter* is associated with the risk of diseases and complications in adulthood, such as: atrophic gastritis, peptic ulcer, lymphoma and gastric adenocarcinoma. The connection of this infection with inflammatory bowel diseases and allergic diseases is in the phase of active study.

The article concludes that according to the 2023 European Society of Paediatric Gastroenterology, Hepatology and Nutrition (ESPGHAN) recommendations, the addition of probiotics to eradication therapy in H.P. infected children is recommended to increase the efficacy of eradication and reduce therapy-related gastrointestinal side effects.

ლიტერატურა

1. Joint SPGHAN/NASPGHAN Guidelines for the Management of *Helicobacter pylori* in Children and Adolescents (Update 2016)
2. Probiotics for the Management of Pediatric Gastrointestinal Disorders: position paper of ESPGHAN. 2023
3. Pediatric *Helicobacter* Infection in Children. NHSGGC Paediatrics for Health Professionals. (Updated 2023)

ახალშობილთა ნეკროზული ენცეროკოლიტი: არსებული გამოწვევები და მომავალი პერსპექტივები

თ.გოთუა

ნეკროზული ენცეროკოლიტი (NEC-ნეკი) არის სიცოცხლისთვის საშიში დაავადება, რომელიც უპირატესად გვხვდება დღენაკულ და ძალიან დაბალი მასის ახალშობილებში.

ის იწვევს წვრილი და მსხვილი ნაწლავის ანთებას და ნეკროზს, რომელიც პოტენციურად რთულდება სეფსისით, ნაწლავის პერფორაციით, პერიტონიტით და, შესაძლოა, სიკვდილით. ნეკის გადატანის შემდეგ ხშირია გრძელვადიანი გართულებები, როგორიცაა მოკლე ნაწლავის სინდრომი, ნეიროგანვითარების შეფერხება, რესპირაციული პრობლემები და სხვა. ნეკი ხშირად ახანგრძლივებს ჰოსპიტალიზაციის პერიოდს, რაც მნიშვნელოვან ფინანსურ და ემოციურ დატვირთვას აყენებს როგორც ოჯახებს, ასევე ჯანდაცვის სისტემებს. (1,2,7)

მრავალი ფუნდამენტური კვლევის მცდელობა ჩატარდა ნეკ-ის უკეთ გასაგებად, მკურნალობისა და პრევენციის გაუმჯობესების მიზნით, თუმცა კვლავ რჩება მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც საჭიროებენ მომავალში კიდევ უფრო ძირფესვიან შესწავლას. (2,4,6)

აქტუალურია ისეთი საკითხების სიღრმისეული კვლევა და გაგება, როგორიცაა: ეპიდემიოლოგია, პათოგენების ზოგიერთი საკითხი, დეფინიცია და ახალი შკალის შემუშავება, სიბ თუ ნეკი (SIP vs NEC), კლინიკური მანიფესტაციის ვარიანტები, მომავალი დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პრევენციის პერსპექტივები. (1,8,9).

ნეკის ჭეშმარიტი სიხშირე უცნობია არასაკმარისი სანდო მონაცემების, გამოქვეყნებული კვლევების დიაგნოსტიკისა და მონაცემთა შეგროვების შეუსაბამოების გამო. კერძოდ, რთულია საეჭვო ან დაუდასტურებელი ნეკის პრევალენტობის დადგენა. აშშ-ში, დადასტურებული ან მძიმე ნეკის სიხშირე (Bell-ის II და III სტადია) შეფასებულია, როგორც 1-დან 3-მდე 1000 ცოცხალ დაბადებულზე. შემთხვევების 90 % მეტი გვხვდება ძალიან დაბალი მასის (VLBW) ახალშობილებში (დაბადების მასა < 1500 გ), რომლებიც დაიბადნენ გესტაციის < 32 კვირაზე. სიკვდილიანობის მაჩვენებლები მერყეობს 15-დან 30 %მდე, ოპერაციის ჩატარებისას კი 50%-მდე. ნეკის სიხშირე მცირდება გესტაციური ასაკის (GA) და დაბადების მასის მატებასთან ერთად. (1,3)

ნეკ-ის ეტიოლოგია და პათოგენეზი მულტიფაქტორულია და ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის დაზუსტებული. დადგენილია, რომ ნაწლავის ლორწოვანი გარსის სისხლით მომარაგების შეწყვეტა იწვევს ადგილობრივ ჰიპოქსიას და იშემიას, რაც ხელს უშლის ნაწლავის პერისტალტიკას. შემდეგ იწყება ანთებითი დაზიანება, რომელიც მთავრდება ლორწოვან გარსში სისხლდენით, ეროზიით და ნეკროზით, აღნიშნული დაკავშირებულია მრავალ ფაქტორთან, მათ შორისაა დღენაკულობა, დისბიოზი, ჰიპოქსია-იშემია და ფორმულით კვება. ნეკ-ისადმი მგრძნობელობა შეიძლება აიხსნას ასევე გენეტიკური და საერთო გარემო ფაქტორებით, სხვა

ფაქტორებიდან კი გამოყოფენ ერთი. მასის (RBC) ტრანსფუზიას (ზოგიერთი ავტორის აზრით ანემია, ვიდრე თავად ტრანსფუზია, არის კრიტიკული ფაქტორი ნაწლავის დაზიანებისთვის), H2 ბლოკატორების მიღებას და ანტიბიოტიკების ხანგრძლივ გამოყენებას. ნეკი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ნაწლავზე, არამედ სხვა ორგანოთა სისტემაზე. (4, 5,10)

დედის საშვილოსნოდან პოსტნატალურ გარემოზე გადასვლა წარმოადგენს კომპლექსურ ურთიერთქმედებას ახალშობილსა და მიკრობების კოლონიებს შორის, რომლებიც შეიძლება იყვნენ პოტენციური პათოგენები სიცოცხლის პირველი რამდენიმე კვირის განმავლობაში. ეს გადასვლა განსაკუთრებით რთულია დღენაკულებისა და ძალიან დაბალი მასით ახალშობილების შემთხვევაში, რომლებსაც აქვთ უმნიშვნური და ჩამოუყალიბებელი იმუნური სისტემა. აღწერილია ახალშობილთა იმუნური სისტემის უნიკალური მახასიათებლები, როგორიცაა ციტოკინების, ზრდის ფაქტორის და ჰორმონის სასიგნალო გზების ცვლილებები, პრობიოტიკების და დედის რძით კვების ეფექტები, აგრეთვე მკაფიო მიკრობული კოლონიზაცია ნაწლავში და სხვა ლორწოვან გარსში, რომელიც სპეციფიკურია ახალშობილთა პერიოდისთვის. ამ გარდამავალ პროცესებს აქვთ გრძელვადიანი გავლენა იმუნურ სისტემაზე იმუნური აქტივაციის განვითარებით.

დროულ ახალშობილებში ნეკი ჩვეულებრივ ასოცირდება არსებულ მდგომარეობასთან, როგორიცაა გულის თანდაყოლილი დაავადება, პერინატალური ასფიქსია, პოლიციტემია, სეფსისი, ჰიპოტენზია, ენდოკრინული დარღვევები და რესპირატორული დაავადებები. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი მექანიზმი უცნობია, ვარაუდობენ, რომ ნაწლავებში ჟანგბადის მიწოდების დაქვეითება და ფორმულით კვება არის ნეკის ძირითადი რისკ-ფაქტორები. (3,8)

მიუხედავად იმისა, რომ ნეკ-ის პათოფიზიოლოგია ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის გაგებული, მტკიცებულებების სიმრავლე მიუთითებს, რომ TLR4 რეცეპტორი მონაწილეობს ნეკის განვითარებაში მრავალი მექანიზმის მეშვეობით, მათ შორის აპოპტოზის, ნეკროპტოზის და აუტოფაგიის საშუალებით, რაც იწვევს ნაწლავის ბარიერის დაზიანებას.

დედის რძე იცავს ახალშობილს ნეკის-ის განვითარებისგან TLR4-ის დათრგუნვით ნაწლავის ეპითელიუმში ეპიდერმული ზრდის ფაქტორის რეცეპტორის გააქტიურების გზით. ამ კონტექსტში, TLR4 რეცეპტორის ინჰიბიტორული მოლეკულები წარმოგვიდგება, როგორც ახალი პრევენციული ან თერაპიული მიდგომა ნეკის შემთხვევაში. თუმცა, მათი როლი და ღირებულება მოითხოვს შემდგომ შეფასებას მომავალ კვლევებში.

TLR4 რეცეპტორის აქტივაცია ასევე იწვევს ანთების პროფილაქტიკური ციტოკინების გამოთქმას, მათ შორის ინტერლეიკინ-17 (IL-17) და ქიმიკინებს, რომლებიც იზიდავს ნეიტროფილებს ადგილზე. შე-

დეგად მიღებული ბარიერის დარღვევა საშუალებას აძლევს ნაწლავის ბაქტერიებს შევიდნენ სხეულის სისხლძარღვებში და დაუკავშირდნენ ენდოთელური TLR4-რეცეპტორებს, რაც იწვევს ენდოთელური აზოტის ოქსიდაზა სინთეზას (eNOS) ექსპრესიის შემცირებას და შემდგომში გავლენას ახდენს ნაწლავის პერფუზიაზე ვაზოკონსტრიქციისა და იშემიის გზით. ჯანეტ ჯუჯრედები ასევე თამაშობენ როლს ნეკის მექანიზმის გაგებაში.

კვლევებმა აჩვენა, რომ ნაწლავის პერიტალტიკის დარღვევას, რომელიც ხდება ნეკ-ის დასაწყისში, აქვს საწყისი როლი ამ დაავადების განვითარებაში, რადგან ნაწლავის მოძრაობის გაძლიერების სტრატეგიებმა შეიძლება შეცვალოს ნეკის პრეკლინიკური მოდელები. დადგენილია, რომ ნეკი ასევე ხელს უწყობს მნიშვნელოვან ნეიროანთებას. ამიტომაც, ნაწლავის ანთების მენეჯმენტი შეიძლება მეორადად იყოს ნეიროპროტექტორული. ცნობილია, რომ TLR4 სასიგნალო გზა ჩართულია ნეკ-თან დაკავშირებულ ენცეფალოპათიაში. (5,6,7)

კლასიფიკაცია და სტადიები

პირველად Bell-ის სტადიების შკალა შეიქმნა 1978 წელს ნეკის სიმძიმის და მკურნალობის ხელშესაწყობად. 10 წლის შემდეგ შეიქმნა უკვე Bell-ის ახალი მოდიფიცირებული შკალა, რომელსაც დღემდე ვიყენებთ, თუმცა ის ასევე არასრულყოფილია, როგორც Bell-ის შემთხვევაში და ხშირად მივყავართ ჰიპერდიაგნოსტიკამდე (მაგ.: სპონტანური ინტესტინური პერფორაციის დროს ხშირად ისმება ნეკის დიაგნოზი)

მოდიფიცირებული Bell-ის შკალა

სტადია	სისტემური ნიშანი	აბდომინური ნიშანი	რადიოლოგიური ნიშანი	მკურნალობა
1A საეჭვო	T არასტაბილობა აპნოე, ბრადიკარდია, ლეტარგია	კუჭის გაფართოება, მუცლის გადიდება, ღებინება, განავალი სისხლზე (+)	ნორმალური ან გაფართოებული ნაწლავები, მსუბუქი ილუსი	NPO, ანტიბიოტიკები X 3 დღე
1B საეჭვო	იგივე, რაც ზევით	სისხლი განავალში	იგივე, რაც ზევით	იგივე, რაც 1A
11A გამოსატყუი, მსუბუქი	იგივე, რაც ზევით	იგივე, რაც ზევით-ნოზის გაქრობა მუცლის დაჭიმულობის ან მის გარეშე	ნაწლავების გაფართოება, ილუსი, ნაწლავთა პნევმატოზი	NPO, ანტიბიოტიკები X 7-10 დღე
11B გამოსატყუი საშულო სიმძიმის	იგივე, რაც ზევით +ზომიერი მეტაბ. აციდოზი და თრომბოციტოპენია	იგივე, რაც ზევით-ნაწლავთა ხშიანობის გაქრობა, გამოს. მუცლის დაჭიმულობა ცეცხლით ან მის გარეშე ან მარჯ. ქვედა კვადრ. მასა	იგივე, რაც 11A+ ას-ციტი	NPO, ანტიბიოტიკები X 14 დღე,
111A მძიმე, ნაწლავი ინტაქტურია	იგივე, რაც 11B+ ჰიპოტენზია, ბრადიკარდია, მძიმე აპნოე, კომბინირებული რესპირაციული და მეტაბოლური აციდოზი, DIC, ნეიტროპენია	იგივე რაც ზევით+ პერიტონიტის ნიშნები, მუცლის გამოსატყუი დაჭიმულობა და შებერილობა	იგივე, რაც 11A + ას-ციტი	NPO, ანტიბიოტიკები X 14 დღე, სითხეები, ინოტროპული დახმარება, ვენტილაცია, პარაცეტეზი
111 B მძიმე, პერფორ. ნაწლავით	იგივე, რაც 111A	იგივე, რაც 111A	იგივე, რაც ზემოთ +პნევმოპერიტონეუმი	იგივე, რაც 11A + ქირურგია

DIC-დისიმინირებული სისხლძარღვშიდა კოაგულაცია, NPO-ნილ პერ ოს-პირიდან კვების შეწყვეტა

სხვა შკალებიდან აღსანიშნავია: ვერმონტ ოქსფორდ ნეტვორკის(VON), დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრის (CDC-დიდი ბრიტანეთი), 3 წესიდან 2-ის, სტენფორდის ნეკის ქულების, საერთაშორისო ნეონატალური კონსორციუმის სამუშაო ჯგუფის შკალები, რომელებსაც ასევე აქვთ ხარვეზები, თუმცა გამოიყენებიან ამჟამადაც გარკვეულ კლინიკებში, ხოლო ახალი, უფრო სრულყოფილი შკალის შემუშავების პროცესი კი გრძელდება.

კლინიკური პრაქტიკის სცენარები

ნეკ-ი გამოვლინდება მრავალფეროვანია და ხშირად ვლინდება არასპეციფიკური კლინიკური სიმპტომებით, როგორიცაა კვების აუტანლობა, სტიმულებზე არაადეკვატური პასუხი, ლეტარგია, სხეულის ტემპერატურის არასტაბილობა და აპნოე. ეს მრავალფეროვნება ართულებს ადრეულ დიფერენციაციას სხვა დაავადებებისგან, განსაკუთრებით სეფსისისგან. აპნოეს დროს დროული ამოცნობა და მკურნალობა გადამწყვეტია, რადგან დროული ინტერვენციის დაგვიანებამ შეიძლება გამოიწვიოს სწრაფი პროგრესირება ტიპიურ ნიშნებამდე, როგორიცაა მუცლის შებერილობა, ღებინება და სისხლიანი განავალი. ბოლო რეტროსპექტულმა კოჰორტულმა კვლევამ აჩვენა, რომ სამედიცინო ნეკ-ის შემთხვევების მნიშვნელოვანი ნაწილი (32%) გადაიზარდა ქირურგიულ ნეკ-მდე სამი დღის განმავლობაში, თუმცა ზოგიერთში

იგი თავიდანვე წარმოდგენილი იყო როგორც ქირურგიული ნეკი. ამ ქირურგიული სტადიის მდგომარეობას ხშირად თან ახლავს შემდგომი პოლიორგანული დისფუნქცია. (1,4,5)

კლასიკური ნეკი

ნეკის კლასიკური სიმპტომებია, როდესაც დღენაკულულ ახალშობილს, რომელიც უპირატესად იკვებება ხელოვნური საკვებით, უვითარდება კვების აუტანლობა, ღებინება, მუცლის შებერილობა, სისხლიანი განავალი და ნაწლავის პნევმატოზი

პერისისტიული ნეკი აირის გარეშე

ამ ფორმის დროს, ახალშობილი, რომელსაც განუვითარდა ნეკის კლასიკური სიმპტომები, მაგრამ ვერ უმჯობესდება კლინიკურად, არ ავლენს ნაწლავის პერფორაციის სიმპტომებს. მკაფიო გაუმჯობესების არარსებობის შემთხვევაში, საცდელმა ლაპაროტომიამ შეიძლება გამოავლინოს კეროვანი ნეკროზი და ნაწლავის პერფორაციის ნიშნები.

პორტულ ვენაში აირი და მუცლის შავარვა

ამ კლინიკური ვარიანტის დროს ახალშობილს მუცლის ღრუს პორტულ სისტემაში უვლინდება აირი, რაც ზოგადად მიუთითებს ნაწლავის მნიშვნელოვან ნეკროზზე მუცლის მგრძნობელობით.

სტოკატო ნეკი

ამ ფორმის დროს ახალშობილს ნეკის სიმპტომებით, რომელიც თავდაპირველად შედარებით სტაბილურია, სწრაფად უვითარდება გაუარესება რამოდენიმე საათში და ხასიათდება სეფსისით, რომელსაც თან ახლავს ნეკის-ის კლინიკური და რენტგენოგრაფიული მტკიცებულება.

ტოტალური ნეკი

ტოტალური ნეკის მქონე ბავშვს აღენიშნება ვრცელი ნეკროზი, რომელიც მოიცავს თითქმის ყველა წვრილ და მსხვილ ნაწლავს. მიუხედავად იმისა, რომ ამ კლინიკურ ვარიანტზე შეიძლება იყოს ექვი მუცლის ღრუს რენტგენოგრაფიაზე

აუცილებელია ნაწლავის სპონტანური პერფორაცია (ნსპ) განვასხვავოთ ნეკისგან.

ნსპ არის კუჭ-ნაწლავის კეროვანი პერფორაცია, რომელიც ჩვეულებრივ ვითარდება დისტალურ ილუუმში სიცოცხლის პირველი 1-2 კვირის განმავლობაში.

ნაწლავის სპონტანური პერფორაცია (ნსპ) და ნეკროზული ენტეროკოლიტი არ არის ერთი და იგივე დაავადების გამოვლინება, როგორც ადრე ფიქრობდნენ. (4,9)

განსხვავება ნსპ და ნეკს შორის:

1. ნაწლავის სპონტანური პერფორაცია (ნსპ) უფრო ადრე ჩნდება, ვიდრე ნეკი. ნსპ-ის გამოვლინების საშუალო ასაკი არის 7 დღე, ნეკ-ის 14 დღესთან შედარებით.

2. ნსპ ჩვეულებრივ ვლინდება მუცლის მწვავე დაჭიმვით და მუცლის მოლურჯო-შავი ფერის შეფერილობით, მაშინ როდესაც ნეკი ჩვეულებრივ ვლინდება

ღებინებით, სისხლიანი განავალით და მუცლის კედლის შეშუპებით, კრეპიტუსით და ინდურაციით.

3. ნეკროზული ენტეროკოლიტი ჩვეულებრივ ვლინდება რენტგენოლოგიური გამოვლინებებით, როგორცაა ნაწლავის პნევმატოზი, აირი პორტულ ვენაში, ნაწლავის კედლის გასქელება და წვრილი ნაწლავის ფიქსირებული გაფართოებული მარყუჟები, ნაწლავის სპონტანური პერფორაციის ტიპური რენტგენოგრაფიული დადასტურება მოიცავს პნევმოპერიტონეუმს, ნაწლავთა პნევმატოზი არ არის.

4. ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევის დროს კოაგულაციური ნეკროზი შეინიშნება ნეკროზული ენტეროკოლიტის შემთხვევაში, ხოლო იზოლირებული პერფორაციული ნეკროზი არის ტიპური გამოვლინება ნაწლავის სპონტანური პერფორაციისას.

5. ნეკროზული ენტეროკოლიტი მოიცავს ნაწლავის ცვალებადი ხარისხს ანთებასა და იშემიას ფართო პერიტონეალური დაბინძურებით და ბაქტერიული ტრანსლოკაციით, ხოლო ნაწლავის სპონტანური პერფორაცია მოიცავს პერფორაციის კერას ნორმალურად არსებული პროქსიმალური და დისტალური ნაწლავებით.

აღსანიშნავია, რომ ნეკ-ის განმეორება ხდება პოსტ-ნეკის პაციენტების 4-10%-ში.

ახალშობილებს ნეკით აღენიშნებათ მნიშვნელოვანი გართულებები, რომლებიც მოიცავს არა მხოლოდ ნაწლავებს, არამედ ფილტვებს, ტვინს, ღვიძლსა და თირკმელებს.

ფილტვის დაზიანება, რომელიც ხასიათდება ნეიტროფილების ინფილტრაციით და ანთებითი ფაქტორების ზერეგულირებით, გვხვდება ნეკ-ით დაავადებული ბავშვების დაახლოებით 15%-ში. ბოლო კვლევებმა ნეკით გამონეული ფილტვის დაზიანებაზე გამოავლინა TLR4-ით გამონეული პათოგენები ნეკ-თან დაკავშირებული ტვინის დაზიანების მსგავსი.

ნეკ-ის ადრეული კლინიკური კვლევა და დიაგნოსტიკა ხელს უწყობს დაავადების ადრეულ პრევენციას და მკურნალობას „სამედიცინო ნეკის“ სტადიაზე, რათა თავიდან იქნას აცილებული ოპერაცია Bell III სტადიაზე.

რეკომენდებულია ნეკის მრავალი ახალი დიაგნოსტიკური კვლევა, ბიომარკერები, ლაბორატორიული ტესტები, ულტრაბგერა და სხვა.

სისხლის სრული საერთო ანალიზი, სისხლის გაზები, ელექტროლიტები, სისხლის და სხვა ბიოლ.სითხეების კულტურა, C რეაქტიული ცილა, პროკალციტონინი, გლუკოზა, შარდოვანა, კრეატინინი, კოაგულოგრამა და სხვა, არის ნეკის რუტინული ტესტები.

ინტენსიური კვლევა მიმდინარეობს ახალი ბიომარკერების და მკურნალობის ახალი მეთოდების დასადგენად: ინტერლეიკინ 6, ინტერლეიკინ 8, შარდის 1-FABP, ნაწლავის 1-FABP, კლაუდინ 3 ან ინჰიბიტორ პროტეინ ინტერ ალფა, განავლის კალპროტექტინი, მეტაბოლომიკები, პროტეომიკები, ღეროვანი უჯრედები და მათი ეგზოსომები და მრავალი სხვა

ერთერთი მნიშვნელოვანი სადიაგნოსტიკო კვლევაა მუცლის ღრუს ორგანოების რენტგენოგრაფია, რომელიც გვიჩვენებს ნაწლავის გაფართოებულ მარყუჟებს და აირს პორტულ ვენურ სისტემაში ან ნაწლავის პნევმატოზი, რომელიც პათოგნომურია.

აუცილებელია ადრეული ქირურგიული კონსულტაცია.

მუცლის ღრუს ორგანოთა**რენტგენოგრაფია:**

- გაფართოებული ნაწლავის მარყუჟები (ხშირად ასიმეტრიული განაწილებით)
- ნაწლავის კედლის შეშუპება თითის ანაბეჭდით
- ნაწლავის პნევმატოზი
- პორტული ვენური აირი
- პნევმოპერიტონეუმი მიუთითებს მძიმე დაავადებაზე
- დადასტურებული პერფორაციის მქონე პაციენტების მხოლოდ 50-75%-ს ექნება ხილული თავისუფალი აირი

აირი ნაწლავის ორივე მხარეს (რიგლერის ნიშანი)
აირი, რომელიც ასახავს ფალსიფორმულ ლიგატს (ფეხბურთელის ნიშანი)

შემდგომი დაკვირვებისთვის რეკომენდირებულია მწოლიარე და გვერდითი პროექცია პირველი 48 საათის განმავლობაში, რადგან სწორედ ამ დროს ხდება ყველაზე მეტი პერფორაცია.

ულტრასონოგრაფია

- ნაწლავის კედლის გასქელება
- ნაწლავის კედლის პათოლოგიური სისხლძარღვები
- ჰიპერვასკულარული (სიცოცხლისუნარიანი, მაგრამ გაჟღენთილი ადრეულ ეტაპზე)
- ჰიპოვასკულარული (ინფარქტი მოგვიანებით ეტაპზე)
- ინტრამურალური აირი, რომელიც ვლინდება ჰიპერექოგენური კერების სახით ნაწლავის კედელში
- თავისუფალი სითხე, განსაკუთრებით ექოგენური ჩანარებით, ვარაუდობს პერფორაციას
- პნევმოპერიტონეუმი (ექოგენური ხაზების დანყოფანა ნაწლავის სანათურის გარეთ)
- პორტული ვენური აირი (ჰიპერექოგენური კერების დაჩრდილვა პორტულ ვენურ სისტემაში)

მაურნალობა და პროგნოზი

მკურნალობის ძირითადი საფუძველია ენტერალური კვების შეწყვეტა, კუჭის დეკომპრესია ნაზოგასტრალური მილით, ინტრავენური ფართე სპექტრის ანტიბიოტიკები და სრული პარენტერალური კვება.

დღეისათვის ყველაზე მიღებული პრევენციისა და მკურნალობის რეკომენდაციებია: სტანდარტიზებული კვების რეჟიმი, დედის რძე, პროფილაქტიკური ანტიბიოტიკები და პრობიოტიკები. გარდა ამისა, ნეკის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კვლევის განვითარებით, პრეკლინიკური და კლინიკური კვლევის სფეროში თანდათან ჩნდება პრევენციისა და მკურნალობის ახალი სტრატეგიები. (9,10)

ახალშობილებში, რომლებსაც აქვთ მდგომარეობის გაუარესება ან ნაწლავის პერფორაცია ან რომლებიც არ რეაგირებენ მედიკამენტურ თერაპიაზე, ნაჩვენებია ქირურგიული ჩარევა. ლაპაროტომია არის სტანდარტული მიდგომა და ოპერაცია არის მაქსიმალურად კონსერვატიული, უეჭველად ნეკროზული ან პერფორირებული ნაწლავის მხოლოდ ნაწილების მოცილებით, რაც შეიძლება მეტი ნაწლავის შენარჩუნების მცდელობის გათვალისწინებით. განსაკუთრებული ძალისხმევა კეთდება ილეოცეკალური სარქველის შესანარჩუნებლად. (4)

გამოჯანმრთელების შემდეგ, სტომა შეიძლება ჩაბრუნდეს. პირველადი ანასტომოზი ზოგადად უკუნაჩვენებია ანასტომოზის დროს იშემიის რისკის გამო.

ლაპაროტომია შეიძლება უკუნაჩვენებია იყოს პაციენტებში, რომლებიც არიან ექსტრემალურად მცირე მასის და მძიმე მდგომარეობით, რადგან ისინი შეიძლება არ იყვნენ საკმარისად სტაბილური, რომ გადაიტანონ ოპერაცია. ამ პაციენტებში, თუ ადგილი აქვს პერფორაციას და თავისუფალ აირს, შეიძლება განიხილებოდეს პერიტონეალური დრენაჟის ჩასმის ალტერნატიული მკურნალობა.

ამჟამად მიმდინარეობს მომავალი მკურნალობის შემუშავება, მათ შორის პრობიოტიკების გამოყენება, აგრეთვე იმ აგენტების როლის შესწავლა და ხმარება, რომლებიც ბლოკავს აზოტის ოქსიდის და თუნდაც დაბალი დოზით ნახშირბადის მონოქსიდის წარმოქმნას.

პრევენციული სტრატეგიები მოიცავს: პრენატალური გლუკოკორტიკოიდების პროფილაქტიკურ ხმარებას, დედის დიეტის და ანტიბიოტიკების ხმარების მონიტორინგს, დედის სამეანო გართულებების პრევენციას, ინტერლეიკინ 10-ის გამოყენებას, ინტრაინტესტინალური სტრატეგიების შემუშავებას, რომელიც მართულია TLR4 რეცეპტორისკენ და მრავალ სხვას.

ღეროვანი უჯრედებით თერაპიას, იმუნოთერაპიას და ფეკალური მიკრობიოტას ტრანსპლანტაციას (FMT) ბოლო დროს ნეკ-ის პრევენციასა და მკურნალობაში აქვთ გარკვეული პერსპექტივა, რომელიც საჭიროებს კიდევ უფრო მეტ მეცნიერულ დადასტურებას.

ამგვარად, ნეკი რთული და მძიმე დაავადებაა, რომელიც რჩება სიკვდილიანობისა და ინვალიდობის ნამყვან მიზეზად დღენაკლულ ახალშობილებში. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს ნეკ-ის სპეციფიკური მკურნალობა, მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული ბოლო ათწლეულში.

კლინიკური დაკვირვებების, მიკრობიოლოგიური ანალიზისა და მოლეკულური კვლევის შედეგებმა ერთობლივად გააუმჯობესა ნეკ-ის პათოგენეზის მექანიზმების გაგება. მომავალი კვლევა ნეკ-ის სფეროში დღენაკლულებში ფოკუსირებული უნდა იყოს პათოგენური მეტაბოლური გზების სპეციფიკური როლის გარკვევაზე ნეკ-ის პათოგენეზში, მონივნავე ხელოვნური ინტელექტის ტექნიკის გამოყენებაზე, როგორცაა მანქანური სწავლება ადრეული დიაგნოსტიკის სიზუსტის გასაუმჯობესებლად, TLR4-დამოკიდებული სასიგნალო გზების შემდგომი შესწავლა, რომლებიც განაპირობებს ნეკის პროგრესირებას. ასევე მნიშვნელოვანია მიზანმიმართული სტრატეგიების შემუშავება მწვავე კლინიკური მენეჯმენტისა და გრძელვადიანი ჯანმრთელობის შედეგების გაუმჯობესების საქმეში.

ლიტერატურა:

1. Deshuang Zhang et al, Digging Deeper into Necrotizing Enterocolitis: Bridging Clinical, Microbial, and Molecular Perspectives, Gut Microbes, v17, 2025-issue 1, art.2451071, publ.online:18 jan.2025
2. G.S. Bethell, N.J.Hall Necrotizing Enterocolitis: Perspectives From a Population-based Study. Nature, Pediatric research, 2025

3. E.Dermyshi, C. Granger, K. Chmelova, et al. Age of Onset of Necrotizing Enterocolitis (NEC) and Focal Intestinal perforation (FIP) in Very Preterm and low Birthweight Infants: A Systematic Review. *BMJ Open* 2023; 13:e070638. doi:10.1136/bmjopen-2022-070638

4. Necrotizing Enterocolitis: Current Understanding of the Prevention and Management, *Pediatric Surgery International*, 2024

5. Ah. Allana et al. Quality Improvement Project to Improve Adherence to Best Practices to Decrease Incidence of Necrotizing Enterocolitis in Preterm Infants *Children* 2025, 12(2), 176;

6. Necrotizing Enterocolitis (NEC) in Preterm Infants Working Group of the National Advisory Council of Child Health and Human Development (NACHHD). Report to Secretary, Department of Health and Human Services, September, 2024

7. Xiaoban Hu et al, Necrotizing enterocolitis: Current understanding of the prevention and management, *Pediatric Surgery International*, v40, article 32, 2024

8. J.Neu. Introduction and historical aspects where we may be going in the future, getting rid of necrotizing enterocolitis, *Pediatric Medicine*, v7, may 28, 2024

9. Jae H Kim, MD, PhD Neonatal necrotizing enterocolitis: management and prognosis. *UptoDate*. Literature review current through: Jan 2025. | This topic last updated: May 09, 2023.

10. J. Aires et al, Occurrence of Neonatal Necrotizing Enterocolitis in Premature Neonates and Gut Microbiota: A Case-Control Prospective Multicenter Study, *Microorganisms* 2023, 11(10), 2457; <https://doi.org/10.3390/microorganisms11102457>.

რეზიუმე

ახალშობილთა ნეკროზული ენტეროკოლიტი: არსებული გამოწვევები და მომავალი პერსპექტივები

თ. გოთუა

ნეკროზული ენტეროკოლიტი (NEC-ნეკი) არის სიცოცხლისთვის საშიში დაავადება, რომელიც უპირატესად გვხვდება დღენაკლულ და ძალიან დაბალი მასის ახალშობილებში.

ის იწვევს წვრილი და მსხვილი ნაწლავის ანთებას და ნეკროზს, რომელიც პოტენციურად რთულდება სეფსისით, ნაწლავის პერფორაციით, პერიტონიტით და, შესაძლოა, სიკვდილით. ნეკის გადატანის შემდეგ ხშირია გრძელვადიანი გართულებები, როგორიცაა მოკლე ნაწლავის სინდრომი, ნეიროგანვითარების შეფერხება, რესპირაციული პრობლემები და სხვა. ნეკი ხშირად ახანგრძლივებს ჰოსპიტალიზაციის პერიოდს, რაც მნიშვნელოვან ფინანსურ და ემოციურ დატვირთვას აყენებს როგორც ოჯახებს, ისევე ჯანდაცვის სისტემებს.

მრავალი ფუნდამენტური კვლევის მცდელობა ჩატარდა ნეკ-ის უკეთ გასაგებად, მკურნალობისა და პრევენციის გაუმჯობესების მიზნით, თუმცა კვლავ რჩება მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც საჭიროებენ მომავალში კიდევ უფრო ძირფესვიან შესწავლას. ნაშრომში მოკლედ არის ახსნილი ახალშობილთა ნეკროზული ენტეროკოლიტის შესაძლო ეტიდემიოლოგია, რისკის ფაქტორები, პათოფიზიოლოგია, კლინიკური მანიფესტაცია და გართულებები, თანამედროვე და მომავალი მკურნალობის, ასევე პრევენციის სტრატეგიები.

კლინიკური დაკვირვებების, მიკრობიოლოგიური ანალიზისა და მოლეკულური კვლევის შედეგებმა ერთობლივად გააუმჯობესა ნეკ-ის პათოგენეზის მექანიზმების გაგება. მომავალი კვლევა ნეკ-ის სფეროში დღენაკლულბავში ფოკუსირებული უნდა იყოს პათოგენური მეტაბოლური გზების სპეციფიკური როლის გარკვევაზე, მონიწივე ხელოვნური ინტელექტის ტექნიკის გამოყენებაზე, როგორიცაა მანქანური სწავლება ადრეული დიაგნოსტიკის სიზუსტის გასაუმჯობესებლად, თღ4-დამოკიდებული სასიგნალო გზების შემდგომი შესწავლა, რომლებიც განაპირობებს ნეკის პროგრესირებას. ასევე მნიშვნელოვანია მიზანმიმართული სტრატეგიების შემუშავება მწვავე კლინიკური მენეჯმენტისა და ჯანმრთელობის გრძელვადიანი შედეგების გაუმჯობესების საქმეში.

SUMMARY

NEONATAL NECROTIZING ENTEROCOLITIS: CURRENT CHALLENGES AND FUTURE PERSPECTIVES

T. GOTUA

Necrotizing Enterocolitis (NEC) is a life-threatening disease predominantly affecting premature and very low birth weight infants resulting in inflammation and necrosis of the small bowel and colon and potentially leading to sepsis, perforation, peritonitis and, sometimes, death. Numerous research efforts have been made to better understand, treat, and prevent NEC. The high mortality and morbidity rates of NEC and its consequent impact on healthcare costs make it one of the most expensive neonatal pathologies, incurring an estimated annual financial burden.

This review briefly describes the possible pathogenesis of NEC, epidemiology, risk factors, pathophysiology, clinical diagnosis, and clinical manifestation and complications, modern and future treatment and prevention strategies. Findings from clinical observations, microbiological analysis, and molecular research will improve our understanding of the mechanisms underlying the pathogenesis of NEC. Future research in the field of NEC in preterm infants should focus on elucidating the specific role of pathogenic metabolic pathways in the pathogenesis of NEC, applying advanced artificial intelligence techniques such as machine learning to improve the accuracy of early diagnosis, further explore the TLR4-dependent signaling pathways that drive NEC progression, and develop targeted strategies to mitigate the range of long-term morbidities associated with NEC, thereby improving both acute clinical management and long-term health outcomes for these infants.

ყივანახველა ჩვილებში (პროტოკოლი)

მანია ჩხაიძე,

ი. ციციშვილის სახ. ბავშვთა კლინიკის სამედიცინო დირექტორი, პროფესორი;

გიტინო ფარულავა,

ციციშვილის სახ. ბავშვთა კლინიკა, პროფესორი;

ნინო მარუაშვილი

(პედიატრიის სარეზიდენტო პროგრამა-ციციშვილის სახ. ბავშვთა კლინიკა), რეზიდენტი

დეფინიცია: ყივანახველა არის ინფექციური დაავადება, რომელიც ხასიათდება მაღალი კონტაგიოზურობით. მისი გამომწვევი არის **Bordetella Pertussis**.

ინკუბაციური პერიოდი საშუალოდ 7-10 დღეა, თუმცა შეიძლება 20 დღემდეც გაგრძელდეს.

გადაცემა წვეთოვანი გზით ხდება. სხვაგვარად ყივანახველას („the cough of 100 days“) 100-დღიან ხველას უწოდებენ.

ახასიათებს გახანგრძლივებული მიმდინარეობა. დაავადების მიმდინარეობაში 3 ფაზას გამოყოფენ: კატარული (2 კვირა), პაროქსიზმული (2-8 კვირა) და კონვალესცენციის (2-4 კვირა).

ავადობენ ყველა ასაკში 0-დან ხანდაზმულობამდე. ჩვილებში და ახალშობილებში გამოირჩევა მძიმე მიმდინარეობით და მაღალი სიკვდილობით.

ორსულობის მესამე ტრიმესტრში ვაქცინაციამ 2012 წლიდან საკმაოდ შეამცირა ამ დაავადების კლინიკური შემთხვევები.

ძირითადი გართულებები:

- მაღალი ლიმფოციტოზი ჰიპერვსკოზიტიტით.
- პოლიორგანული უემარისობა, მათ შორის მწვავე ნევროლოგიური პათოლოგიები და სიკვდილი.

გამომწვევი ორგანიზმი: Bordetella Pertussis

- გრამუარყოფითი ბაქტერიები, რომლებიც წარმოქმნიან ძლიერ ენდოტოქსინებს.

ენდოტოქსინი იწვევს სისხლძარღვთა ენდოთელიუმის დაზიანებას, ლიმფოციტების დეფორმაციას და ვითარდება ტოქსინით განპირობებული ლიმფოციტოზი და ჰიპერვსკოზიტიტის სინდრომი.

- ამის შედეგად ორგანიზმში შეიძლება წარმოიშვას მიკროვასკულარული თრომბოზი პულმონური ჰიპერტენზიით, ნეკროზული ბრონქოლიტი/პნევმონია, მიოკარდიუმის დისფუნქცია და ენცეფალიტი.

• კლინიკური დიაგნოზი

- ყივანახველას კლინიკური შემთხვევების უმეტესობა მოიცავს ორკვირიან ხველას და ყივანახველას სულ მცირე ერთ სიმპტომს (პაროქსიზმები, ნამოყვლება, ლეზინება).

- სავარაუდო ყივანახველას დიაგნოსტიკა შესაძლებელია ლაბორატორიული კვლევების გარეშე პაციენტებში, რომლებსაც აქვთ რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი:

- მწვავე ხველა ≥ 2 კვირიანი ხანგრძლივობით და ყივანახველასთან ასოცირებული შემდეგი სიმპტომებიდან ერთი მაინც:

- ხველების პაროქსიზმები
- ლეზინება
- აპნეა ციანოზით ან მის გარეშე

- დიაგნოსტიკა ხდება თუკი პაციენტს აქვს ნებისმიერი ხანგრძლივობის მწვავე ხველა, ყივანახველასთან ასოცირებული ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომებიდან ერთი მაინც და ლაბორატორიულად დადასტურებულ შემთხვევასთან კონტაქტი (ე.ი. ეპიდემიოლოგიური კავშირი).

• ლაბორატორიული დადასტურება

- მიუხედავად იმისა, რომ ყივანახველას დიაგნოზის დასადგენად ლაბორატორიული ტესტი არ არის საჭირო, ჩვენ ხშირად ვაკეთებთ დიაგნოზის დასადასტურებლად ლაბორატორიულ კვლევას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საჭიროა კონტაქტების პროფილაქტიკა. თუმცა, ლაბორატორიულმა დადასტურებამ არ უნდა გადადოს მკურნალობის დაწყება.

- ლაბორატორიული ტესტირება უნდა ჩატარდეს ყივანახველას დიაგნოზის განხილვისთანავე. B. pertussis უფრო რთულია ზრდა/იდენტიფიცირება პაროქსიზმული სტადიის დროს ან მის შემდეგ მიღებული ნიმუშებიდან და ანტიბიოტიკოთერაპიის დაწყების შემდეგ.

- კვლევები, რომლებსაც შეუძლიათ ყივანახველას დიაგნოზის დადასტურება, მოიცავს ბაქტერიულ კულტურას, PCR და სეროლოგიას.

- ტესტებს შორის მხოლოდ კულტურა და PCR აკმაყოფილებს შემთხვევის ლაბორატორიული დადასტურების კრიტერიუმებს.

- ჩვენ გთავაზობთ შემდეგ მიდგომას ყივანახველას ლაბორატორიული დიაგნოსტიკისთვის:

- ხველა < 3 კვირა ხანგრძლივობა
- ასაკი < 4 თვე – PCR და ნაზოფარინგეალური ნიმუშების კულტურა (თუ შესაძლებელია).
- ასაკი ≥ 4 თვე – PCR და კულტურა;

• ხველა ≥ 3 კვირის ხანგრძლივობა

- ასაკი < 4 თვე – PCR და ნაზოფარინგის ნიმუშების კულტურა (თუ შესაძლებელია) (სეროლოგია არ არის საჭირო).

- ასაკი ≥ 4 თვე – სეროლოგია (IgG-დან PT-მდე).

• კლინიკური სიმპტომები:

- ჩივილები: რესპირატორული სიმპტომები, აპნეა, კრუნჩხვები, მძიმე ავადობის ყველაზე მაღალი რისკი < 4 თვე / არაიმუნიზირებული ჩივილები. (რისკის შემცირება ხდება განმეორებითი იმუნიზაციით).

- მოზარდები: რესპირატორული სიმპტომები, გულისრევა, ლეზინება, გახანგრძლივებული სპაზმური ხველა.

- ახასიათებს ლეიკოციტოზი ლიმფოციტოზით (ლეიკოციტები ≥ 20) ან იზოლირებული ლიმფოციტოზი.

- დაავადებაზე ეჭვი შეიძლება მივიტანოთ თუ პაციენტს ჰქონდა კონტაქტი ყივანახველით დაავადე-

ბულთან, ან აღნიშნავენ გახანგრძლივებული ხველის ოჯახურ ანამნეზს.

4 თვემდე ჩვილები – მნიშვნელოვანი ცხელების გარეშე ყვიანახველაზე (მიუხედავად ვაქცინაციის სტატუსისა) უნდა იყოს ექვმიტანილი, რომლებსაც გამოხატული აქვთ:

- ხველა, რომელიც არ უმჯობესდება (ნებისმიერი ხანგრძლივობის); ხველა შეიძლება იყოს ან არ იყოს პაროქსიზმული;
- რინორეა, რომლის დროსაც ცხვირიდან გამონადენი წყლიანი რჩება;
- აპნეა, კრუნჩხვები, ციანოზი, ლებინება ან წონის კლება;
- ლეიკოციტოზი ლიმფოციტოზით;
- პნევმონია;
- საყოფაცხოვრებო კონტაქტი პირებთან, რომლებსაც აღნიშნება გახანგრძლივებული ხველა.

სერიოზული გართულებების რისკის გათვალისწინებით, თუკი ჩვილი არის 4 თვემდე და აქვს ჩამოთვლილი სიმპტომები, აუცილებელია დაინყოს მკურნალობა და საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას.

არ არის საჭირო დაველოდოთ ლაბორატორიულ კვლევის შედეგებს.

ლაბორატორიულმა დადასტურებამ არ უნდა გადადოს მკურნალობის დაწყება.

ადრეული დიაგნოსტიკა და დროული მკურნალობა აუცილებელია დაავადების გართულების პრევენციისათვის.

ჩვილების ჰოსპიტალიზაცია აუცილებელია, რადგან ყვიანახველას მიმდინარეობა შეიძლება სწრაფად გაუარესდეს და საჭირო გახდეს ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მკურნალობა, განსაკუთრებით, თუ გამოხატულია აპნეა, ციანოზი ან ლეიკოციტოზი $>30,000$ WBC/მიკროლ (რაც დაკავშირებულია მნიშვნელოვან ავადობასთან), სწრაფი, არაპროგნოზირებადი გაუარესების პოტენციალის გათვალისწინებით.

≥ 4 თვის ჩვილები და ბავშვები – ყვიანახველაზე (მიუხედავად ვაქცინაციის სტატუსისა) ეჭვი უნდა გაჩნდეს თუკი პაციენტს აქვს:

• პაროქსიზმული არაპროდუქტიული ხველა ≥ 7 დღის ხანგრძლივობის (ყვილით ან ლებინების თანხლებით ან მის გარეშე).

• ხველა, რომელიც დაკავშირებულია რინორეასთან, რომლის დროსაც ცხვირიდან გამონადენი წყლიანი რჩება.

• ხველება, აპნეა, ლებინება, სუბკონიუნქტივალური სისხლჩაქცევა ან ძილის დარღვევა.

• ციანოზი.

• ოფლიანობის ეპიზოდები.

• აუცილებელია დაავადების დროული ამოცნობა, სწრაფი და აგრესიული მენეჯმენტი დაავადების სამკურნალოდ.

დიფ. დიაგნოზი საჭიროა გატარდეს:

ბრონქიოლიტი, პნევმონია, ენცეფალიტი, სეფსისი ჰოსპიტალიზაციის ჩვენებები სავარაუდო ან დადასტურებული ყვიანახველის დროს:

რესპირატორული დისტრესი

პნევმონიის არსებობა

საკვებზე უარი

აპნეა ან ციანოზი, ხველით ან მის გარეშე

გულყრა

ასაკი < 4 თვეზე

ჰოსპიტალიზირებული პაციენტები საჭიროებენ იზოლაციას ანტიბიოტიკოტერაპიის დაწყებიდან 5 დღე.

საწყისი მენეჯმენტი

ყველა 4 თვემდე ჩვილი საეჭვოა ყვიანახველაზე თუ მას აქვს სიმპტომები + ლიმფოციტოზი.

თუმცა, ადრეული სიმპტომები შეიძლება იყოს მსუბუქად გამოხატული, მაგრამ 4 თვემდე ბავშვის დაავადება უხშირესად მწვავედ ვითარდება.

აუცილებელია:

• იზოლაცია მაკროლიდური ანტიბიოტიკოტერაპიის დასრულებამდე.

• აცნობოთ ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანიზაციას

• საავადმყოფოს პერსონალმა განიხილოს საკუთარი იმუნიზაციის სტატუსი.

საწყისი კვლევები:

• ≤ 12 თვემდე ბავშვები: პერნაზალური ნაცხი PCR-ისთვის.

• > 12 თვემდე ბავშვები: პერნაზალური ნაცხი კულტივირებისთვის თუ < 2 კვირა სიმპტომების დაწყებიდან; ან სისხლის აღება სეროლოგიისთვის თუ თუ > 2 კვირა სიმპტომების დაწყებიდან (და 1 წელზე მეტია ყვიანახველას ვაქცინაციის შემდეგ გასული).

• ნაზოფარინგეალური ასპირატი (NPA) და ბრონქოალვეოლარული ამორეცხვა (BAL) სხვა რესპირატორული პათოგენების გამოსარიცხად.

• სისხლის საერთო ანალიზის ყოველ 6 საათში კონტროლი თუკი ლეიკოციტები იზრდება ან სახეზეა კლინიკური სურათის გაუარესება.

• გულმკერდის რენტგენი პნევმონიისთვის დამახასიათებელი ცვლილებების გამოსარიცხად.

• ეკგ იმემიის, პულმონალური ჰიპერტენზიის გამოსარიცხად.

მკურნალობა:

• აზითრომიცინი ენტერალურად ყოველდღე 3-5 დღის განმავლობაში.

• კლარიტრომიცინი თუკი ენტერალური შეწოვის პრობლემაა.

• კოამოქსიკლავი ემპირიულად სხვა რესპირატორული პათოგენის გადასაფარად.

ზოგადი მართვა:

სითხის შეზღუდვა 2 მლ/კგ/სთ; სასურველია ენტერალური კვება.

აუცილებელია რესპირატორული და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობის მონიტორინგი.

ადრეული ჩვენებები რეანიმაციის განყოფილებაში რეფერირებისთვის:

• 4 თვეზე ნაკლები ჩვილები კლინიკური ან ლაბორატორიული შედეგების გაუარესებით.

• ლეიკოციტები თუ მათი რაოდენობა ≥ 30 ან უფრო მზარდია.

• რესპირატორული უკმარისობა/ხშირი აპნოე.

• პნევმონიისთვის დამახასიათებელი ცვლილებები რენტგენზე.

• მუდმივი ტაქიკარდია, კარდიოვასკულარული არასტაბილურობა.

• ნევროლოგიური სიმპტომები, მათ შორის კრუნჩხვები.

რეანიმაციული მენეჯმენტი:

ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფი არიან პნევმონიით დაავადებულები.

ვენტილაციის სტრატეგია უნდა შევიმუშავოთ მწვავე რესპირატორული დისტრეს სინდრომის დროს.

საწყისი გამოკვლევები:

- ექოკარდიოგრამა – გულის ფუნქციის და ფილტვის არტერიის წნევის შეფასება.

- ლეიკოციტების მონიტორინგი 6 საათში ერთხელ.

უნდა ჩატარდეს გადაუდებელი შენაცვლებითი ტრანსფუზია ლეიკოციტების შესამცირებლად თუ:

- ლეიკოციტები ≥ 30 და რაოდენობა სწრაფად იზრდება.

- ლეიკოციტები ≥ 30 და პნევმონია არის ან კარდიოვასკულარული არასტაბილურობა.

- ლეიკოციტები ≥ 50

გადასხმა მიმდინარეობს 200 მლ/კგ 20 მლ 2 საათის განმავლობაში.

თერაპიის მიზანია ლეიკოციტები იყოს < 20 .

სასურველია ტრანსფუზიის მერე 2 საათში ჩატარდეს სისხლის საერთო ანალიზი, ხოლო შემდეგი სსა ანალიზი ისევ 6 საათში შედეგების გადასამოწმებლად.

წარმატებულად ითვლება ტრანსფუზია, თუკი ბავშვის მდგომარეობა გაუმჯობესდება.

თუ კარდიო-რესპირატორული უკმარისობა ზემოაღნიშნულზე რეფრაქტერულია,

სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს ECMO-ზე (ექსტრა-კორპორალური მემბრანული ოქსიგენაცია).

ტექნიკა:

პროცედურა – შენაცვლებითი ტრანსფუზია შედგება ორმაგი მოცულობის შენაცვლებით. პროცედურა უნდა ჩატარდეს მხოლოდ მომზადებული პერსონალის მიერ ახალშობილთა ან პედიატრიულ ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში (NICU/PICU), რომელიც აღჭურვილია სრული მონიტორინგისა და რეანიმაციის შესაძლებლობებით.

შენაცვლებისათვის ხდება 2 ვენის ან არტერია და ვენის კათეტერიზაცია; თუ ხელმისაწვდომია არტერიული კათეტერი და უსაფრთხო ვენური კათეტერი, პაციენტის სისხლი შეიძლება ამოღებულ იქნეს არტერიული კათეტერიდან და სისხლის ნაწილის შეყვანა მოხდეს ვენური კათეტერის მეშვეობით.

სისხლის მოცულობის გაანგარიშება – ორმაგი გაცვლის ტრანსფუზიისთვის საჭირო მოცულობა არის 160 მლ/კგ.

სისხლის გადასახმელი რაოდენობის ფორმულა გამოითვლება:

$85 \times \text{ახალშობილის წონა კგ} \times 2$.

ეს ცვლის ჩვილის მოცირკულირე სისხლის წითელი უჯრედების დაახლოებით 85 პროცენტს.

თუ ჩვილის მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლებელია ორმაგი შენაცვლება (მაგ. ჰემოდინამიკური არასტაბილურობის გამო) ან თუ არსებობს ტექნიკური პრობლემები (მაგ., საკმარისი სისხლის ამოღების სირთულე), დასაშვებია ჩატარდეს ერთ მოცულობით გაცვლა სისხლის მოცულობით 80 მლ/კგ.

ეს ცვლის ჩვილის მოცირკულირე სისხლის წითელი უჯრედების დაახლოებით 60 პროცენტს.

- გამოსაყენებელი სისხლის პროდუქტები – გადასხმა ტარდება სათანადო ჯგუფის გარეცხილი ერმასით და ახლად გაყინული პლაზმის (FFP) გამოყენებით, ჰემატოკრიტის შემცველობა დაახლოებით 40-დან 45 პროცენტამდე.

სისხლის წითელი უჯრედები უნდა აღდგეს ახლად-გაყინული პლაზმით და არა ფიზიოლოგიური ხსნარით.

შენაცვლებითი ტრანსფუზიის ჩატარება –

ცენტრალური ვენური წვდომის შემდეგ, სისხლი შეჰყავთ სისხლის საერთო მოცულობის დაახლოებით 8-დან 10 პროცენტამდე (6-დან 8 მლ/კგ ალიკვოტზე). ეს კეთდება სისხლის ერთდროული ამოღებით ერთი კათეტერიდან ან პორტიდან, ხოლო სისხლის ვენური კათეტერით გადასხმისას. ეს მეორდება მანამ, სანამ მთლიანი მოცულობა არ გაიცვლება.

ორი კათეტერის ტექნიკით გამოიყენება 10-დან 30 მლ-მდე შპრიცები, შეყვანისთვის. თუ გამოიყენება მხოლოდ ერთი ცენტრალური კათეტერი, გამოიყენება 5-დან 20 მლ-მდე შპრიცები, რათა თავიდან იქნას აცილებული მოცულობის მნიშვნელოვანი ცვლილებები, განსაკუთრებით კრიტიკულ მდგომარეობასი მყოფ ჩვილებში.

ორმაგ გაცვლით ტრანსფუზიას, როგორც წესი, სჭირდება დაახლოებით ერთი საათი და უნდა იყოს უზრუნველყოფილი თანაბარი მოცულობის სისხლის ამოღება და გადასხმა.

მომუშავე პერსონალმა უნდა ჩაინეროს თითოეული შეყვანილი და ამოღებული ალიკვოტი და შესაბამისი სასიცოცხლო მაჩვენებლები. ჰიპომაგნიემია და განსაკუთრებით ჰიპოკალცემია შეიძლება განვითარდეს გადასხმულ სისხლში ციტრატთან შეკავშირების შედეგად და ზოგიერთი ავტორი რეკომენდაციას უწევს კალციუმის რუტინულ გამოყენებას.

ტრანსფუზიის შემდეგ ზოგიერთ პაციენტს აღნიშნება ძალიან მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

ცენტრალური ვენური და არტერიული კათეტერები უნდა მოიხსნას პროცედურის შემდეგ რაც შეიძლება მალე, როგორც კი დადასტურდება, რომ არ არის საჭირო განმეორებითი გაცვლითი ტრანსფუზია.

მონიტორინგი პროცედურის დროს –

უწყვეტი კარდიორესპირატორული და პულს ოქსიმეტრიის მონიტორინგი

- არტერიული წნევის (BP) მონიტორინგი არტერიული წნევის უწყვეტი ინვაზიური გაზომვით ან არაინვაზიური არტერიული წნევის გაზომვით ყოველ 15 წუთში პროცედურის განმავლობაში

- შრატის ელექტროლიტების და იონიზებული კალციუმის გაზომვა პროცედურის წინ, დროს და მის შემდეგ

- პროცედურამდე და მის შემდეგ სისხლის სრული ანალიზი

- კოაგულაციის კვლევების გაზომვა (მაგ. პროთრომბინის დრო [PT], გააქტიურებული ნაწილობრივი თრომბოპლასტინის დრო [aPTT]) პროცედურის დაწყებამდე და მის შემდეგ

თუ ლაბორატორიულ მონიტორინგზე აღინიშნება დარღვევები (მაგალითად, ელექტროლიტური დარღვევები, კოაგულოპათია, თრომბოციტოპენია), შეიძლება საჭირო გახდეს კორექტირება.

გართულებები

ტრანსფუზიის რისკები მოიცავს რისკებს, რომლებიც მიეკუთვნება ცენტრალური ვენური და არტერიული კათეტერების დაყენებას, სისხლის პროდუქტების ზემოქმედებასთან დაკავშირებულ რისკებს და უშუალოდ პროცედურის რისკებს.

პოტენციური გართულებები მოიცავს:

- ჰემოდინამიკური არასტაბილურობა

- თრომბოზული გართულებები, მათ შორის პორტალური ვენის თრომბოზი
- ჰაერის ემბოლია
- გულის არითმიები
- სიცოცხლისთვის საშიში ელექტროლიტების დისბალანსი (მაგ. ჰიპოკალციემია და ჰიპერკალიემია)
- სითხით გადატვირთვა
- ანემია ქარბი სისხლის ამოღებით განვითარებული ჰემოლიზით

- ცენტრალური სისხლძარღვების კათეტერიზაციასთან დაკავშირებული გართულებები
- სისხლით გადამდები ინფექციები
- თრომბოციტოპენია და კოაგულოპათია
- ნეკროზული ენტეროკოლიტი

ექსტრაკორპორალური მემბრანული ოქსიგენაცია (ECMO) გამოიყენება იმ პაციენტებისთვის, რომლებსაც აქვთ ქრონიკული სუნთქვის ან გულის უკმარისობა. სიკვდილობის მაჩვენებელი პაციენტებში, რომლებსაც ესაჭიროებათ ECMO, უახლოვდება 70%-ს.

რეზიუმე

ყვიანახველა ჩვილებში (პროტოკოლი)

მაია ჩხაიძე,
ი. ციციშვილის სახ. ბავშვთა კლინიკის სამედიცინო დირექტორი, პროფესორი;

TSITSINO PARULAVA,
ციციშვილის სახ. ბავშვთა კლინიკა, პროფესორი;

NINO MARUASHVILI,
(პედიატრიის სარეზიდენტო პროგრამა-ციციშვილის სახ. ბავშვთა კლინიკა), რეზიდენტი

ავტორებმა სტატიამი მოგვანოდეს ყვიანახველის თანამეროვე პროტოკოლი ჩვილ ბავშვებში.
არსებული პროტოკოლი დიდ დახმარებას გაუწევს არამარტო პედიატრებს, არამედ ოჯახის ექიმებსა და სხვა პროფილის სამედიცინო პერსონალს.

SUMMARY

WHOOPIING COUGH IN INFANTS (PROTOCOL)

MAIA CHKHAIDZE,
Medical Director of Tsitsishvili Children's Clinic

TSITSINO PARULAVA,
Tsitsishvili Children's Clinic, Professor;

NINO MARUASHVILI,
Resident

The authors have provided us with a national protocol for whooping cough in infants in the article.

The existing protocol will be of great help not only to pediatricians, but also to family doctors and medical personnel of other profiles.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Newborn Critical Care Center (NCCC) Clinical Guidelines Exchange Transfusion Guidelines Procedures in Neonatology, Fifth Edition. Ed. MacDonald, M.G., Ramasethu, J. & Rais-Bahrami, K. Lippincott Williams & Wilkins. Philadelphia, PA. 2013
2. Paediatric Critical Care: Pertussis Infection Cherry et al. (2011) 2. Rowlands et al (2010) 3. Public Health England pertussis guideline (2014) 4. UK ECMO meeting (Jan 2015) 5. ELSO registry, 6. Decker et al. (2021) JID, 2021:224 (Suppl 4), 7. Esposito et al. Frontiers in immunology, July 2019, Vol 10 Art 1344
3. Pertussis in Young Infants _ Guidance for Clinicians
Mattoo S, Cherry JD. Molecular pathogenesis, epidemiology, and clinical manifestations of respiratory infections due to Bordetella pertussis and other Bordetella subspecies. Clin Microbiol Rev. 2005;18(2):326-82. 2. Paddock CD, Sanden GN, Cherry JD, et al. Pathology and pathogenesis of fatal Bordetella pertussis infection in infants. Clinical Infect Dis. 2008; 328-38.
3. CDC, MMWR. Recommended Antimicrobial Agents for the Treatment and Postexposure Prophylaxis of Pertussis. 2005 CDC Guidelines. 2005:54-RR12:1-16. 4. Chen H, Lee M, Tsao L. Exchange Transfusion Using Peripheral Vessels Is Safe and Effective in Newborn Infants. Pediatrics 2008;122 e1-6.
4. Pertussis infection in infants and children: Treatment and prevention.
Up to date: Literature review current through: Aug 2024. This topic last updated: May 06, 2024.
5. American Academy of Pediatrics. Pertussis (whooping cough). In: Red Book: 2024-2027 Report of the Committee on Infectious Diseases, 33rd ed, Kimberlin DW, Banerjee R, Barnett ED, Lynfield R, Sawyer MH (Eds), American Academy of Pediatrics, 2024. p.656.

სხვადასხვა

„საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო
მეცნიერებათა აკადემიის“ საპატიო დოქტორის
ბატონ სოსო(სევარიონ) ნადირაძის შემოქმედების კუთხე

თითების ანატომია

ყვავილის მდელი მინდა მოვცელო,
ლექსად მოგიძღვნა იის კონები,
თვალეები ჩემი – შმაგი ოტელო!
თითები შენი – დეზდემონები...

გრიგის მუსიკა მხოლოდ ფანდია,
ხან მშვიდი ცაა – ხანაც ომია,
და კლავიშებზე ვნებით ანთია
ქალის თითების ანატომია...

გზა, დერვიშები, ნისლი, გაშიში,
ჩემსკენ რომ მოჰქრის ტროას
ცხენია,
შენი თითები ისე გაშიშვლდნენ,
ჩემი თვალების სულ არ რცხვენიათ...
კლავიშებს შორის მოსჩანს ბზარები,
მნათობს პატივი უნდა მიაგო,
ისე გაშმაგდნენ ჩემი თვალეები,
ოტელო მოკლავს მალე იაგოს...

ყვავილის მდელი მინდა მოვცელო,
ლექსად მოგიძღვნა იის კონები,
თვალეები ჩემი – შმაგი ოტელო!
თითები შენი – დეზდემონები...

№ პოეზია
სოსო ნადირაძე
ემიგრანტები იტალიაში /
LA MIA GEORGIA

ეს გახლავთ ჩემს წიგნზე და ჩემს
შესახებ ევროპის ცნობილ ონლაინ-
გამოცემაში გაკეთებული უცხოე-
ლი მწერლების და კრიტიკოსების
შეფასება, მათ შორის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორის ხეთი-
სო მამისიმედიშვილის ვრცელი ნე-
რილი

ავტორის შესახებ მოხარულნი
ვართ წარმოგიდგინოთ ჩვენი შესა-
ნიშნავი საიტი, სადაც თავმოყრილ-
ია საუკეთესო ავტორების ყველაზე
გამორჩეული წიგნები. მხოლოდ ერთ
ადგილას ერთად საუკეთესო ბესტ-
სელერები თქვენთვის ძვირფასო მე-
გობრებო. თქვენ შეგიძლიათ განა-
ვითაროთ თქვენი ცოდნა და უნა-
რები ჩვენი წიგნებისა და სახელმ-
ძღვანელოების ჩამოტვირთვით.
დარწმუნებული ვართ, რომ ისია-
მოვნებით ჩვენი დიდი პროექტით და
ის თქვენს ცხოვრებას ოდნავ უკე-
თესს გახდის. ჩვენი მონაცემთა ბა-
ზა ყოველდღიურად ახლდება, იღებს
საუკეთესოს, რაც მსოფლიოში არ-
სებობს. სევარიონ ნადირაძე ჩვენი
ეპოქის საუკეთესო მწერალია. წაი-
კითხეთ მწერალ სევარიონ ნადირა-
ძის რომანი. ანტიკომუნისტური
ვულკანის ამოფრქვევა მსოფლიო
ლიტერატურაში. „სასიამოვნო იყო
„ფქვილის გზის“ წაკითხვა; ის დგას
როგორც შუქურა საბჭოთა კავში-
რის ყოფილ სისასტიკეებზე. რო-
გორც ჩანს, ტყის ხე, რომელიც არ-
ღვევდა ადამიანთა სულებს ტკივი-
ლისა და თვითგანადგურების უმოქ-
მედო აუზში, ხდება იგავი და იმე-
დის დაპირება მსოფლიოში, სადაც
ბოროტება სუფევს, ის ასევე შეიძ-
ლება იყოს გაფრთხილება მათთვის,
ვინც ძალიან ადვილად გადასცემს
ჩვენს თავისუფლებას და ღირებუ-
ლებებს თვითდაჯერებულობისა და
ზნეობრივი სიბრმავეს ღმერთს სათ-
ნოების მქონე ადამიანი, თავმდაბა-
ლი მღვდელი, რათა შეცვალოს სა-
ზოგადოება და მოახდინოს ახალი
გაზაფხული, ისევე როგორც ჩვენი
შემოქმედის მიერ შეკრებილ ტრი-
ლიონ უჯრედებს შეუძლიათ ერთად

იმუშაონ მშვიდობიანად და ჰარმო-
ნიაში, თითოეულს აქვს თავისი შე-
საძლებლობები ყველასთან კოორ-
დინირებულად. სხვები ჩვენი უფ-
როსის ხელმძღვანელობით, ასე რომ,
ჩვენი სამყარო მოწოდებულია ფუნ-
ქციონირებისთვის, ჩვენი მოთხოვ-
ნილება საკვებზე და საზრდოზე არ
არის მხოლოდ ფიზიკური საკვები,
არამედ ეს წიგნი გვიჩვენებს უნი-
კალური სულიერი საკვების მოპო-
ვებას, რომელსაც ჩვენ ვზრდით. რო-
მელიც არის ღვთაებრივი სიცოცხ-
ლის შეყვანა იმ ხორბალში, რომელ-
საც ჩვენ სუფრაზე ვდებთ. ამ გან-
საკუთრებული „ფქვილის“ გარეშე
ჩვენ ვკარგავთ მიმართულებას და
ვვარდებით თვითგანადგურებაში.
ამ განსაკუთრებული „ფქვილით“
გვეძლევა ფრთები, რომ გადავლა-
ხოთ ეს დაცემული სამყარო“. იან
„იოჰანა“ შრედლი – კანადელი მწე-
რალი მიმოხილვა ადამიანის სერი-
გება ღმერთთან სევარიონ ნადირა-
ძემ მე-20 საუკუნის 80-იანი წლე-
ბის ბოლოს დაიწყო მოღვაწეობა პო-
ეზიის სფეროში. პერიოდი, როდესაც
თბილისის ქუჩები გადატვირ-
თული იყო გაბრაზებული ხალხით,
რომელთაც მიზნად ისახავდნენ საბ-
ჭოთა კავშირის წინააღმდეგ პრო-
ტესტის გამოხატვას გათავისუფ-
ლებულ საქართველოში ცხოვრება
– ეს არის სიზმარი სევარიონ ნადი-
რაძის ნაწარმოებებში მისი ქვეყა-
ნა, თითქოს პლანეტა ხელახლა უნ-
და დაიბადოს, „ახალი ცა და ახალი
მინა“, რომელსაც განაგებს ახალი
ინდივიდი, ყოველგვარი ცოდვების-
გან თავისუფალი, სუფთა და ხე-
ლუხლებელი, როგორც სამოთხის
პირველი მკვიდრი ნადირაძეს და-
წერილი აქვს უამრავი ლირიკული
ლექსი, რამდენიმე ლექსი და რო-
მანი. მისი მოღვაწეობის დიდი ნა-
წილი, ლექსები: „მზის მოლოდინში,
ვენა ბნელა“, „შუქი ანთე“, „პოეტი
და ქარიშხალი“, ასევე ლექსები: „მო-
გები და ვარსკვლავები“, „ხმა სამ-
ყაროდან“. „და სხვ. გამოირჩევიან
ბიბლიური, მითოლოგიური და ოპ-

ტიმისტური მორალურ-ეთიკური მოტივებით. ს. ნადირაძის ლექსები, უპირველეს ყოვლისა, ბიბლიურ სიუჟეტებზეა აგებული. თუმცა, ავტორი პოულობს კავშირს ბიბლიურ ქრონიკებს შორის. თუმცა, ავტორი პოულობს კავშირს ბიბლიურ ქრონიკებსა და ქვეყნის ამჟამინდელ დილემებს შორის, თბილისში ძმათა მკვლელობის კანონის სინონიმია, რომელმაც ძალადობრივად მოკლა და მოკლა თავისი ძმა, აბელი. რომანი „ხაკი იაშმაკი“ დაწერილია აფხაზეთში 1990-იანი წლების დასაწყისში მომხდარ ტრაგიკულზე, რომანი შთაგონებულია კავკასიის რეგიონში აყვავებული მომავლის, ჰუმანიზმის, მეგობრობისა და მეგობრობის ნებით. წარმოდგენილი რომანი „ფქვილის გზა“, მის გმირებს წარსულთან აქვთ ურთიერთობა, რადგან მათი უმეტესობა საბჭოთა რეჟიმის დროს წარმოიშვა ცოდვები და ეს ცოდვები დღემდე შემორჩენილია, როგორც გაგრძელება გათავისუფლებულ საქართველოში. იმ უმძიმეს დროს, როცა საქართველო ცდილობდა რუსეთის უღლისგან თავის დაღწევას, ყველა არასასურველი სისუსტე გამოუჩნდა. როგორც რუსები ორასი წელი აწვალდნენ ქართველ ხალხს და ხალხი ჭეშმარიტი რწმენის გარეშე დარჩა. შური, ღალატი, სიხარბე, სისასტიკე იყო მოქალაქეთა ქმედების განმსაზღვრელი ფაქტორი. რეალობამ ცხადყო, რომ ხალხმა დაივიწყა ცხოვრების ყველა აუცილებელი კომპონენტი: თავისუფლება, სულიერი სიმშვიდე, ეკონომიკური კომფორტი შრომითა და რელიგიური თავდადებით უნდა მიეღო. რომანში ავტორი გვიჩვენებს ადამიანებს, რომელთა რწმენაც ღმერთისადმი ძლივს შემორჩა. მტრებმა მიაღწიეს ყველა სურვილს: დაპირებული ქვეყანა, ძმა ფარული ძმის წინააღმდეგ, ოჯახი მეორის წინააღმდეგ, სოფელი სოფლის წინააღმდეგ. რუსეთის სამხედრო შემოჭრის შემდეგ 1993 წელს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონები სამშობლოს მოკვეთეს. რომანის მიხედვით, არსებობს ჭეშმარიტი გზა, მხოლოდ ერთი დაკავშირებულია რეალურ თავისუფლებასთან. სამოცდაათი წლის განმავლობაში კომუნისტური რეჟიმის ქვეშ ყოფნის ცუდი გამოცდილებით, გზა არის ღვთის წესებისა და წესების დაცვა. რომანის მთავარი თემა აღწერილია მის სათაურში

About the author We are pleased to introduce our wonderful site where collected the most remarkable books of the best authors. Only in one place together the best bestsellers for you dear friends. You can develop your knowledge and skills by downloading our books and guides. We are sure that you will enjoy our great project and it will make your life a little better. Our database is updated daily, taking the best that exists in the world. Sevarion Nadiradze is the best writer of our era. Read Writer Sevarion Nadiradze's novel. Anti-Communist volcano eruption in world literature. "It was a joy to read The Way of Flour; it stands as a lighthouse above the former atrocities of the Soviet Union. It would appear that the driftwood which dammed up human spirits in a stagnant pool of pain and self destruction becomes a parable and a promise for hope in the world wherever evil reigns. It also can stand as a warning to those of us in the West who too easily surrender our liberty and values to a god of self indulgence and moral blindness. It underlines the power of a single man of virtue, a humble priest, to change society and bring about a new springtime. Just as the trillion cells in our body, as assembled by our Creator, can work together in peace and harmony, each with its own capacity in coordination with all others under the leadership of our Head, so is our world called on to function. Our need for food and sustenance is not merely for physical food, but, this book makes a case for a uniquely spiritual food ground out of the wheat we grow, which is the infusion of Divine Life into that wheat we lay on our table. Without this special "flour" we lose our direction and collapse into self destruction. With this special "flour" we are given the wings to transcend this fallen world". Jan ("Johanna") Schredl - Canadian writer Review MAN'S RECONCILIATION WITH GOD Sevarion Nadiradze started activities in the poetry field in the late 80s of the 20th century, a period when the streets of Tbilisi city was overcrowded with angry people having an aim to protest against the Soviet Union. Entire country was determined to overthrow the existing regime. in the same time, nobody had an idea how would be a new state or how to live in a liberated Georgia. "The promised land" is a dream of characters that appear in Sevarion Nadiradze's works. The author enriched a Georgian poetry with his original themes. The topics he chooses are directly linked to the rejuvenation-transformation of his country, as if the planet has to be born over again, "new sky and new land", that will be ruled by a new individual, free of any

kind of sins, pure and unspoiled, as the first inhabitants of paradise. Sevarion Nadiradze has written the vast number of lyrical verses, some poems and novels. Huge part of his activities, his verses: "Waiting for the Sun, When it is Dark", "Turn on the Light", "Poet and Hurricane", as well as poems: "Magi and Stars", "Voice from the World", etc. are distinguished with their biblical, mythological, and optimistic moral-ethical motivations. s. nadiradze's poems primarily are built on the ground of biblical stories. Though, the author finds a link between biblical chronicles stories. Though, the author finds a link between biblical chronicles and the country's current dilemmas, brother killing war in Tbilisi is a synonym of Cain, who violently assassinated and killed his brother, Abel. The novel "khaki yashmak" is written about the tragic that occurred in Abkhazia in the beginning of 1990s, the novel is inspired by the will of prosperous future, humanism, friendship and amity in the Caucasus region. The presented novel "The way of flour", its characters have relations with the past, as majority of them having sins originated in the soviet regime and those sins are still remained as an extension into freed Georgia. in that rough time, when Georgia tried to escape from Russia's yoke, all unwanted weaknesses came up. As the Russians were pressing the Georgian people for two hundred years and the people stayed without true belief. envy, treachery, greediness, cruelty were determining factors of citizens' actions. The reality revealed that the people had forgotten all essential components of the life: freedom, spiritual tranquility, economic comforts had to be obtained with the hard work and religious devotion. In the novel, the author is showing us the people whose belief in God is barely surviving. The enemies have attained all the wishes they had: separated country, brother against his own brother, a family against another one, village against village. After Russia's military invasion, Abkhazia and Tskinali regions were cut from the motherland in 1993. According to the novel, there is a true path, only one connected to the real freedom. Having a bad experience of being under the communist regime for seventy year, the path is to follow our God's rules and regulations. The keynote of novel is described in its title

რედაქციიდან-წარმატებები
ვუსურვოთ ბატონ
სოსო (სეპარიონ) ნადირაძეს
თავის შემოქმედებით დიდ გზაზე

ბავშვის ურთიერთობა ეკრანთან და სხვადასხვა ტიპის ბავშვებთან

ნინო თოთაძე,

პედიატრი, ნუტრიციოლოგი. თსსუ კლინიკის პროფესორი.
საქართველოში ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი.

სმარტფონები, პლანშეტები და ტელევიზორები ყოველდღიური რეალობაა. უნდა დავიცვათ თუ არა ბავშვები მათი ზემოქმედებისგან? პედიატრები ამ პრობლემის შესახებ კარგად არიან ინფორმირებულნი და კვლევებზე დაყრდნობით, ხშირად გვაფრთხილებენ: **არ არის რეკომენდებული ბავშვის ურთიერთობა ეკრანთან 2-წლამდე, გარდა იმ გამონაკლისისა, როცა მშობლები ბავშვისგან შორს არიან და სურთ, რომ სკაიპის ან ვიდეო ზარის საშუალებით დაინახონ და ეკონტაქტონ მათ.** თუ მშობელს სურს, მაგალითად ტელევიზორის წინ დაჯდეს და ისე გამოკვებოს ბავშვი, მაშინ პირველ რიგში უნდა დარწმუნდეს, რომ ბავშვი ეკრანს არ ხედავს და ხმა მაქსიმალურად არის დაწეული, რადგან კვების და საკვების მონელების პროცესი ამ დამატებითი შემანუხებელი ხმებით არ დაირღვეს.

პირველი რამოდენიმე კვირა ჩვილისთვის შეიძლება არც იყოს საინტერესო ეკრანთან ურთიერთობა, მაგრამ შემდეგ, როდესაც მიხვდება, რომ ამ ადგილიდან ჩანს საინტერესო ფერები და ანიმაციები, ინტერესი გაიზრდება. შეიძლება ძუძუს წოვის დროს შეწყვიტოს ხოლმე კვება, ისწავლოს თავის გვერდზე გადატრიალება, რათა დაინახოს თუ რა ხდება ტელევიზორში. შესაბამისად, ამ დროს მშობელმა უნდა შეიცვალოს ადგილი, გადავიდეს სხვა მშვიდ ოთახში და ისე აჭამოს ბავშვს.

როგორც აღვნიშნე, გაჯეტებთან ბავშვის ურთიერთობა უნდა დაიწყოს არაუადრეს 2-წლისა. ასევე ანიმაციის თუ სხვადასხვა საბავშვო გადაცემების ყურებაც ამ ასაკამდე არ არის რეკომენდებული. მშობელს შეიძლება ეს უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ კვლევები აჩვენებს, რომ ეკრანის წინ ბავშვი შეიძლება მშვიდად იყოს, როცა ის გარკვეული ტიპის გამოსახულებას უყურებს, მაგრამ ამ დროს მის ტვინზე სტიმულაცია აქტიურად ხდება, რასაც მივყავართ ნერვული სისტემის აქტიურ გადაძაბვასა და ძილის პროცესის დარღვევასთან. ასევე კომპიუტერული თამაშები არ არის ნებადართული, რადგან შემდგომ უკვე მოზარდობის პერიოდში ის ძლიერ დამოკიდებულებას ინვესტ... რაც შეეხება მობილურ ტელეფონს, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ეს მოწყობილობები ელექტრომაგნიტურ ტალღებს ასხივებენ, რომლებიც ასევე უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ჯანმრთელობაზე, მის ძილის რეჟიმზე, კოგნიტურ განვითარებაზე.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით ეკრანთან ბავშვის ურთიერთობა არ არის სასურველი 2 წლის ასაკამდე. არაუმეტეს ერთი საათი დასაშვებია დღეში 2-დან 4 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის.

დღევანდელ ცხოვრებაში რთულია ეკრანების სრულად თავიდან აცილება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ისინი მნიშვნელოვანია სამსახურსა და სკოლაში. თუმცა, ეკრანთან გატარებულმა ზედმეტმა დრომ შეიძლება გავლენა მოახდინოს ადამიანის ფსიქიკურ, სოციალურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე.

ეკრანებზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულ ბავშვებს შეიძლება ჰქონდეთ უძილობა, ზურგის ტკივილი, წონის მატება, მხედველობის პრობლემები, თავის ტკივილი, შფოთვა, დანაშაულის გრძნობა და მარტოობის შეგრძნება. საბოლოო ჯამში, ეკრანებზე დამოკიდებულების გრძელვადიანი შედეგები შეიძლება იყოს მძიმე.

მშობლები, ექიმები და ფსიქოლოგები სამართლიანად ხშირად გამოთქვამენ შეფოთებას, რადგან ყველა ასაკის სულ უფრო მეტი ბავშვი ხდება დამოკიდებული ეკრანებზე. იქნება ეს ვიდეო თამაშები თუ პლანშეტებში სხვადასხვა გასართობი სანახაობა.

მნიშვნელოვანი პრობლემა ის არის, რომ ბავშვების მიერ ეკრანების გამოყენების სხვადასხვა მეთოდის გამო – მათ შორის სკოლის დავალებების შესასრულებლად და სხვა დადებითი აქტივობებისთვის – არ არსებობს საათების განსაზღვრული რაოდენობა, ხშირად ის ეკრანებზე დამოკიდებულებას უტოლდება.

2016 წლის Common Sense Media-ს კვლევამ აჩვენა, რომ მოზარდების ნახევარი ამბობდა, რომ თავს მობილურ მოწყობილობებზე დამოკიდებულად გრძნობდნენ, ხოლო სამი მეოთხედი აღიარებდა, რომ თავს ვალდებულად თვლიან დაუყოვნებლივ უპასუხონ ტექსტურ შეტყობინებებს, სოციალურ მედიაში პოსტებს და სხვა შეტყობინებებს. იგივე კომპანიის მიერ Common Sense Media-ს მიერ 2021 წელს ჩატარებულმა კიდევ ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ მოზარდებში ეკრანის გამოყენების 17 პროცენტით ზრდა დაფიქსირდა. ასევე 8 წლის ბავშვები სოციალურ მედიას უფრო ხშირად იყენებდნენ, ვიდრე ოდესმე.

2024 წლის კვლევის შედეგად ზოგადად მოზარდები დღეში საშუალოდ 51-ჯერ იღებდნენ და ამონებდნენ სმარტფონებს, 13 წლის და უფროსი ასაკის ბავშვები უფრო ხშირად ამონებდნენ ტელეფონს დღეში 100-ჯერ.

როგორც კვლევაში აღნიშნულია, ეს ზემოქმედება შესაძლოა გამოწვეული იყოს მოზარდების მიერ მოწყობილობების საშუალებით სოციალური კონტაქტების მიმართ ბუნებრივი მიზიდულობით, თუმცა აპლიკაციებისა და პლატფორმების ჩართულობის გახანგრძლივების დიზაინიც, სავარაუდოდ, ხელს უწყობს ამას.

ეკრანებიდან მიღებული ინფორმაცია სტიმულაციის უწყვეტ ნაკადს გვთავაზობს, რომლის იგნორირებაც ადამიანებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, შეიძლება რთული იყოს.

დოფამინი არის ჰორმონი, რომელიც პასუხისმგებელია ჩვევების მართვასა და განმტკიცებაზე. დოფამინი ტვინში ძლიერი ნეიროტრანსმიტერია. ის ხელს უწყობს ადამიანების ინტერესისა და ყურადღების შენარჩუნებას, რის გამოც ადამიანებს უჭირთ სიტუაციიდან ან ქცევიდან გამოყოფა. ის ასევე თვითგანმტკიცებადია. რაც უფრო ხშირად განიცდიან ადამიანები ამ ქცევას, მით უფრო მეტი დოფამინი გამოიყოფა და მით უფრო მეტად არიან ისინი მოტივირებულნი, დაუბრუნდნენ ამ ქცევას. მიუხედავად იმისა, რომ ზრდასრული ადამიანის ტვინი უფრო განვითარებულია და შეუძლია იმპულსების კონტროლი, ბავშვების ტვინი მგრძნობიარეა სტრუქტურისა და კავშირის მნიშვნელოვანი ცვლილებების მიმართ, რამაც შეიძლება შეაფერხოს ტვინის ნორმალური განვითარება, გამოიწვიოს ეკრანებზე დამოკიდებულება და ხელი შეუწყოს სხვა მრავალ შედეგს.

ქრონიკულ ჰიპერაგზნებას შეიძლება ჰქონდეს ფიზიკური სიმპტომებიც, როგორიცაა იმუნური ფუნქციის დაქვეითება, გაღიზიანება, შფოთვა, დეპრესია და სისხლში შაქრის არასტაბილური დონე. ბავშვებში ზოგიერთს ვიდეო თამაშების თამაშის დროს შეიძლება განუვითარდეს ტვინულულისადმი ლტოლვა. თამაშების უმოძრაო ბუნებასთან ერთად, ბავშვების კვებასა და ნონაზეც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. ზოგჯერ ბავშვები თავს არიდებენ თამაშის შეწყვეტას ტუალეტში წასასვლელად, რამაც შეიძლება ჰიგიენის თუ საჭმლის მომნელებელი სისტემის პრობლემები გამოიწვიოს.

რა სიმპტომები აქვს ბავშვებში ეკრანთან დამოკიდებულებას? ეკრანთან ზედმეტად დიდხანს გატარებული დრო ხშირად დაკავშირებულია: სიმსუქნესთან. ცუდ ძილთან ან უძილობასთან. ქცევით პრობლემებთან, მათ შორის იმპულსურ ქმედებებთან. სოციალუ-

რი უნარების დაკარგვასთან. ძალადობასთან. თამაშისთვის ნაკლებ დროსთან. თვალების დაძაბვასთან. კისრისა და ზურგის პრობლემებთან, შფოთვისთან, დეპრესიასთან.

რა თქმა უნდა ეკრანთან დამოკიდებულების პრობლემა ყველა ქვეყანაში როგორც ავღნიშნე მშობლების და ექიმი პედიატრების მნიშვნელოვნად საყურადღებო საკითხია და ხშირად სამედიცინო პერსონალი ვსაუბრობთ მისი გადაჭარბებული ზეგავლენის შესახებ განსაკუთრებით 2-3 წლამდე ასაკის ბავშვებში, რადგან საქართველოში ყველა სხვა ჩამოთვლილ სიმპტომების გარდა განსაკუთრებით საყურადღებოა მეტყველების პრობლემა, ხშირად 2-3 წლის ბავშვები მათი ასაკობრივი ჭრილის განვითარების შესაბამისად ვერ საუბრობენ, სიტყვებისა და რამდენიმე სიტყვიანი წინადადების გამოთქმას ვერ ახერხებენ და აუცილებელი ხდება მეტყველების თერაპიის კურსი და მთელი რიგი ჩართულობა პრობლემის მოსაგვარებლად ექიმის მეთვალყურეობით.

6 მნიშვნელოვანი რჩევა მშობლებისთვის, თუ როგორ უნდა გააკონტროლონ ბავშვების ეკრანებთან ურთიერთობა:

1) დაანესეთ ლიმიტები.... 2) ნახალისეთ ალტერნატიული აქტივობები.... 3) მიეცით ეკრანებთან ჯანსაღი ურთიერთობის მაგალითი.... 4) ეკრანის გარეშე საძიებელი....

5) გამოიყენეთ აპლიკაციები ეკრანთან გატარებული დროის მონიტორინგისთვის...

6) გქონდეთ ღია კომუნიკაცია.

ასევე: თამაშების სალამოები: სამაგიდო თამაშები ან თავსატეხები მთელ ოჯახს გააერთიანებს. თავგადასავლები: გაისეირნეთ, ეწვიეთ ადგილობრივ პარკს ან მოაწყვეთ ოჯახური პიკნიკი. შემოქმედებითი პროექტები: სცადეთ ხელნაკეთი ნივთების, სადილის მომზადება ან ან რაიმე სხვა მნიშვნელოვანი კრეატიული სხვა გართობა. მთავარია ბავშვებმა ისწავლონ სიკეთე, ემპათია, სიყვარული.

რეზიუმე

ბავშვის ურთიერთობა ეკრანთან და სხვადასხვა ტიპის გაჯეტებთან

ნინო თოთაძე,

პედიატრი, ნეუტრიციოლოგი. თსსუ კლინიკის პროფესორი.
საქართველოში ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი.

სმარტფონები, პლანშეტები და ტელევიზორები ყოველდღიური რეალობაა. უნდა დავიცვათ თუ არა ბავშვები მათი შემოქმედებისგან? პედიატრები ამ პრობლემის შესახებ კარგად არიან ინფორმირებულნი და კვლევებზე დაყრდნობით, ხშირად გვაფრთხილებენ: არ არის რეკომენდებული ბავშვის ურთიერთობა ეკრანთან 2-წლამდე, გარდა იმ გამონაკლისისა, როცა მშობლები ბავშვისგან შორს არიან და სურთ, რომ სკაიპის ან ვიდეო ზარის საშუალებით დაინახონ და ეკონტაქტონ მათ. თუ მშობელს სურს, მაგალითად ტელევიზორის წინ დაჯდეს და ისე გამოკვებოს ბავშვი, მაშინ პირველ რიგში უნდა დარწმუნდეს, რომ ბავშვი ეკრანს არ ხედავს და ხმა მაქსიმალურად არის დაწეული, რადგან კვების და საკვების მონელების პროცესი ამ დამატებითი შემანუხებელი ხმებით არ დაირღვეს.

შრომაში აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვანია თამაშების სალამოები: სამაგიდო თამაშები ან თავსატეხები მთელ ოჯახს გააერთიანებს. თავგადასავლები: გაისეირნეთ, ეწვიეთ ადგილობრივ პარკს ან მოაწყვეთ ოჯახური პიკნიკი. შემოქმედებითი პროექტები: სცადეთ ხელნაკეთი ნივთების, სადილის მომზადება ან ან რაიმე სხვა მნიშვნელოვანი კრეატიული სხვა გართობა. მთავარია ბავშვებმა ისწავლონ სიკეთე, ემპათია, სიყვარული.

CHILDREN'S RELATIONSHIP WITH THE SCREEN AND VARIOUS TYPES OF GADGETS

NINO TOTADZE,

*pediatrician, nutritionist. Professor of the Tbilisi State Medical University Clinic.
President of the Association for the Protection of Children's Health in Georgia.*

Smartphones, tablets and TVs are an everyday reality. Should we protect children from their influence? Pediatricians are well informed about this problem and, based on research, often warn us: it is not recommended for a child to have contact with the screen until the age of 2, with the exception of cases when parents are far from the child and want to see and contact them via Skype or video call. If a parent wants, for example, to sit in front of the TV and feed the child, then first of all they should make sure that the child does not see the screen and the volume is as low as possible, so that the process of eating and digesting food is not disturbed by these additional annoying sounds.

The work highlights the importance of game nights: Board games or puzzles bring the whole family together. Adventures: Take a walk, visit a local park, or have a family picnic. Creative projects: Try making crafts, cooking dinner, or some other meaningful creative pastime. The main thing is for children to learn kindness, empathy, and love.

გამოყენებული წყაროები:

<https://www.nicklauschildrens.org/campaigns/safesound/blog/why-are-kids-so-addicted-to-screens#:~:text=Kids%20who%20are%20addicted%20to,as%20severe%20as%20brain%20damage.>

<https://www.mayoclinichealthsystem.org/hometown-health/speaking-of-health/are-video-games-and-screens-another-addiction>

https://www.google.com/search?q=screen+addiction+in+children&rlz=1C1ONGR_enGE1089GE1089&oq=Screen+addiction+in+children&gs_lcrp=EgZjaHJvbWUqBwgAEAAyGAQyBwgAEAAyGAQyBwgBEAAyGAQyCAGCEAAyFhgeMggIAxAG-BYYHjIICAQQABgWGB4yCAGFEAAyFhgeMggIBhAAGBYYHjIICAQABgWGB4yCAGIEAAyFhgeMg0ICRAAGIYD-GIAEGIoF0gEHNTc4ajBqN6gCCLACAFefJ8uhUzZ7V4E&sourceid=chrome&ie=UTF-8

<https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC11049253/>

Bébé premier mode d'emploi - docteur Arnault Pfersdorff (nouvelle édition augmentée)

ონკოიგუნოლოგიის თანამედროვე ასპექტები და ახალი გამოწვევები

ვილი პაჭკორია

*მედიცინის დოქტორი, პროფესორი, ზოგადი პროფილის მკურნალი ექიმი,
ონკოლოგი, კლინიკური ანატომი, საქართველოს ჰუმანიტარულ და
სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი*

იმუნოთერაპია ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის კონტექსტში – ეს არის ავთვისებიანი სიმსივნეების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდი, არა პირდაპირ, არამედ ირიბად – იმუნური სისტემის სტიმულირების ხარჯზე. კარგად არის ცნობილი, რომ ადამიანის იმუნური სისტემა წარმოადგენს მძლავრ დამცავ მექანიზმს, რომელსაც შეუძლია ამოიცნოს და გაანეიტრალოს ორგანიზმისთვის საშიში ელემენტები, როგორცაა ვირუსები, ბაქტერიები, უცხო ცილები, ასევე ავთვისებიანი უჯრედები. მაგრამ ბოლო წლებში მეცნიერებმა შეძლეს დაადგინონ, რომ მიუხედავად იმუნური სისტემის მიერ მუდმივი დეტექციისა და ერადიკაციისა, სიმსივნურ უჯრედებს მაინც შეუძლიათ თავი დააღწიონ და „მოატყუონ“ იმუნური სისტემა, რაც მათ ზრდისა და მეტასტაზირების საშუალებას აძლევს. თავის მხრივ, იმუნოთერაპიის ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოახდინოს იმუნური სისტემის ბუნებრივი დამცვე-

ლობითი ფუნქციის სტიმულირება და მიმართოს ის სიმსივნურ უჯრედებთან საბრძოლველად. დღეისათვის შემუშავებულია კიბოს იმუნოთერაპიის სხვადასხვა მეთოდი, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მაგრამ იმუნოონკოლოგიური პრეპარატების საერთო უპირატესობა, პირველ რიგში, სელექციურობაში მდგომარეობს: მათი სამიზნე არიან მხოლოდ ავთვისებიანი უჯრედები და არა ჯანმრთელი.

კიბოს მკურნალობის ტრადიციული მეთოდები – ქიმიოთერაპია და რადიაციული თერაპია – სისტემურად მოქმედებს მთელ ორგანიზმზე, ანადგურებს ავთვისებიან უჯრედებს, რომლებიც სწრაფი ზრდისა და აქტიური გაყოფის მდგომარეობაში იმყოფებიან. მაგრამ ამავდროულად ისინი აზიანებენ, ჯანმრთელ უჯრედებსაც, მაგალითად: სისხლის უჯრედებს, თმის ფოლიკულებს, ნაწლავის ხაოებს და ა.შ., რომლებიც ასევე აქტიურად იყოფიან. შესაბამისად, ასეთ მკურნალობას

თან ახლავს მძიმე გვერდითი რეაქციები: ანემია, თმის ცვენა, გულისრევა, დიარეა და სხვა.

იმუნოთერაპიას აბსოლუტურად უწინააღმდეგო ვერ ვუწოდებთ, მაგრამ მისი გვერდითი ეფექტები უფრო ზომიერად არის გამოხატული. გარდა ამისა, იმუნოთერაპია ანადგურებს სიმსივნურ უჯრედებს, რომლებმაც გამოიმუშავეს რეზისტენტობა (მდგრადობა) ქიმიო- და რადიოთერაპიის მიმართ. სწორედ ამიტომ ის წარმატებით გამოიყენება ონკოლოგიური დაავადებების გვიანი სტადიების დროს, როდესაც ტრადიციული მეთოდები აღარ არის ეფექტური. სამეცნიერო კვლევები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებენ, რომ იმუნოთერაპია აჩერებს სიმსივნის პროგრესირებად ზრდას და ახანგრძლივებს ისეთი პაციენტების სიცოცხლეს, რომელთაც აქვთ სარძევე ჯირკვლის კიბოს გვიანი სტადია, მეტასტაზური მელანომა, მსხვილი ნაწლავის კიბო, პანკრეასის კიბო, ფილტვის კიბო და ა.შ.

მსოფლიოში ცნობილი და წამყვანი სპეციალისტების აზრით, უახლოეს წლებში ონკოლოგიაში მოხდება სამკურნალო სტრატეგიების ძირეული გადასინჯვა: აგრესიული მეთოდები, რომლებიც ვერ განასხვავებენ ავთვისებიან და ნორმალურ უჯრედებს, თანდათან დაკარგავენ თავიანთ პოზიციებს. როგორც უჯრედული თერაპიისა და კიბოს იმუნოთერაპიის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი, პროფესორი შიმონ სლავინი, ამტკიცებს, – იმუნოთერაპია წარმოადგენს სიმსივნეების მკურნალობის ყველაზე აშკარა და ლოგიკურ გზას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სიმსივნე რეზისტენტულია ქიმიო-სხივური ზემოქმედების მიმართ. თანამედროვე ონკოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური ამოცანა მკურნალობის დასრულების შემდეგ რეციდივების პრევენციაა. მისი აზრით, წარმოადგენს, რომ ქსოვილის პატარა ფრაგმენტი, ნემსის წვერის ზომის, შეიძლება შეიცავდეს მილიონობით კიბოს უჯრედს, რომელთა ამოცნობას ვერც ერთი ვიზუალიზაციის მეთოდი ვერ ახერხებს. ამიტომ მაშინაც კი, როცა მკურნალობა დასრულებულია და დიაგნოსტიკამ ვერ გამოავლინა სიმსივნის არსებობა, ეს აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს, რადგან პაციენტს შეიძლება ჰქონდეს მილიონობით უხილავი კიბოს უჯრედი მთელ სხეულში და საკმარისია მხოლოდ ერთი მათგანი, რომ გამოიწვიოს რეციდივი. ასეთ სიტუაციაში იმუნოთერაპიის შესაძლებლობები აღემატება ყველა თამამ მოლოდინებს. გარდა ამისა, იმუნოთერაპია წარმატებით გამოიყენება დაავადების საწყის სტადიებზეც, სანამ კიბოს უჯრედებს ჯერ არ აქვთ შეძენილი ქიმიოთერაპიის მიმართ მდგრადობა. ამავე დროს, პროფესორ შიმონ სლავინის თქმით: „სასურველია იმუნოთერაპიის დაწყება იმ ეტაპზე, როდესაც სიმსივნის მასა მინიმუმამდეა დაყვანილი. თუმცა კლინიკური გამოცდილება და ასევე FDA-ს გაიდლაინები ადასტურებს, რომ იმუნოთერაპია შეიძლება ჩატარდეს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, თუ კიბოს უჯრედები ავლენენ რეზისტენტობას ქიმიო-რადიოთერაპიის მიმართ. რა თქმა უნდა, წარმატების შანსები გაცილებით მაღალია, როდესაც ნარჩენი სიმსივნე ზომამი შემცირებულია. თუმცა, არსებობს დოკუმენტირებული მტკიცებულება, რომ დაავადების გვიან სტადიებზეც, იმუნური სისტემა იწყებს სიმსივნესთან ბრძოლას და შესაძლებელია სტაბილური რემისიის მიღწევა.“

წინამდებარე ნაშრომში მოკლედ წარმოგიდგენთ ონკოიმუნოლოგიის თანამედროვე მეთოდებს, რომელთა გამოყენებით მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღწეული სიმსივნის საწინააღმდეგო თერაპიაში.

მონოკლონური ანტისხეულები: შეიძლება ითქვას, რომ „ანტიგენი-ანტისხეულების“ მექანიზმი იმუნური სისტემის საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს. ორგანიზმისთვის უცხო უჯრედი, მაგალითად: ბაქტერია – მემბრანის ზედაპირზე ფლობს სპეციფიკურ პროტეინებს (ანტიგენებს). ორგანიზმში მოხვედრისას, ანტიგენები წარმოადგენს ამოცნობით ნიშნებს, რომლებიც „იზიდავენ“ ანტისხეულებს და ამით იწყება იმუნური რეაქციების კასკადი. კიბოს უჯრედებს ასევე აქვთ განსაკუთრებული ანტიგენები და თეორიულად შესაძლებელია ამ თავისებურების გამოყენება. ლაბორატორიულ პირობებში ერთი უჯრედიდან წარმოქმნილი (მონოკლონური) ანტისხეულების პოპულაციის მიღების შემდეგ, ისინი შეჰყავთ ონკოლოგიურ პაციენტში. სიმსივნურ ქსოვილში შეღწევით და მემბრანულ ანტიგენებთან დაკავშირებით, ხელოვნურად შექმნილი ანტისხეულები „მონიშნავენ“ კიბოს უჯრედს და ხდებიან მას იმუნური სისტემისთვის მოწყვლადს. მათ ასევე შეუძლიათ უჯრედის სიკვდილის პროცესის დაწყება ან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რეცეპტორების დაბლოკვა, რომლებიც მონაწილეობენ ზრდის ან ახალი სისხლძარღვების ფორმირების პროცესში.

მონოკლონური ანტისხეულების გამოყენების სხვა ხერხი მდგომარეობს, მათ დაკავშირებაში კიბოს უჯრედის დამშლელ აგენტებთან. ეს შეიძლება იყოს რადიოაქტიური ნაწილაკები ან სამკურნალო პრეპარატის მოლეკულები. მნიშვნელოვანია, რომ ორივე შემთხვევაში მონოკლონური ანტისხეულების სამიზნეა მხოლოდ სიმსივნური ქსოვილი და არა ჯანმრთელი.

საკონტროლო წერტილების ინჰიბიტორები: უცხო აგენტებთან საბრძოლველად იმუნური სისტემა ფლობს ძლიერ იარაღს – T-ლიმფოციტებს. სწორედ ისინი ახდენენ ბაქტერიების, ვირუსების და კიბოს უჯრედების აღმოჩენას და განადგურებას. თუმცა, T-ლიმფოციტების მიერ ჯანსაღი ორგანოებისა და ქსოვილების დაზიანების თავიდან ასაცილებლად, ორგანიზმს აქვს მრავალი დამცავი მექანიზმი. ერთ-ერთი მათგანია ეგრეთ წოდებული „იმუნური პასუხის საკონტროლო წერტილები“ – ცილები, რომლებიც მიზანმიმართულად „გამორთავენ“ T-ლიმფოციტებს. როგორც ბოლოდროინდელმა სამეცნიერო კვლევებმა აჩვენა, სიმსივნურ უჯრედებს შეუძლიათ ამ საკონტროლო წერტილებთან ურთიერთქმედება და ამით იმუნური პასუხის დათრგუნვა. თავის მხრივ, ახალი თაობის პრეპარატები – იმუნური საკონტროლო წერტილების ინჰიბიტორები – „ისინი“ (Immune checkpoint inhibitors - ICI) – არღვევენ ამ ურთიერთქმედებას და იწვევენ T-ლიმფოციტების სიმსივნის საწინააღმდეგო აქტივობის განახლებას.

არასპეციფიური თერაპია (ციტოკინები): პატარა პეპტიდური მოლეკულები, რომელსაც წარმოადგენენ – ციტოკინები, მონაწილეობენ ცალკეულ უჯრედებს შორის ურთიერთქმედების პროცესებში. რიგ ციტოკინებს გააჩნია სიმსივნის საწინააღმდეგო თვისებები, რამაც მეცნიერებს უბიძგა, მათი კიბოს სამკურნალოდ გამოყენების იდეისკენ. სიმსივნურ ქსოვილში მოხვედრისას ციტოკინები თრგუნავენ ახალი სისხლძარღვების ზრდას, რითაც აფერხებენ კიბოს უჯრედებისთვის მკვებავი ნივთიერებების მიწოდებას და ხელს უწყობენ სიმსივნური ქსოვილის ნეკროზს (დაშლას). გარდა ამისა, ციტოკინები წარმოადგენენ „სატყუარას“ T-ლიმფოციტებისთვის (იმუნური სისტემის უჯრედებისთვის), რომლებსაც შეუძლიათ კიბოს უჯრედების წინააღმდეგ ბრძოლა.

ვირუსული თერაპია: აღნიშნული მეთოდი ემყარება ონკოლიზური ვირუსების გამოყენებას, რომლებსაც შეუძლიათ სიმსივნეების შერჩევით დაინფიცირება. მემბრანაში შეღწევის შემდეგ, ვირუსი იწყებს აქტიურ გამრავლებას და გარკვეული დროის შემდეგ იწვევს მასპინძელი კიბოს უჯრედის დაღუპვას.

T-უჯრედული თერაპია: პრინციპი იმუნო-უჯრედული თერაპიისა (რომელსაც ასევე უწოდებენ ადაპტიურ უჯრედულ თერაპიას ან ადაპტიურ იმუნოთერაპიას) მდგომარეობს იმაში, რომ პაციენტის საკუთარი იმუნური უჯრედები უფრო აგრესიული გახდეს სიმსივნეების მიმართ.

დონორისეული ლიმფოციტების ინფუზია (DLI): დონორისეული ლიმფოციტების ინფუზია (Donor lymphocyte infusion - DLI), არის იმუნური სისტემის გააქტიურება ალოგენური ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციის მეშვეობით, ტრანსპლანტაციის შემდეგ შეყვანილი დონორისეული ლიმფოციტების ინფუზიასთან კომბინაციაში.

იმუნური სისტემის აქტივაცია განზრახ შეუთავსებელი და გააქტიურებული დონორის ლიმფოციტების დახმარებით (IMAK): განზრახ შეუთავსებელი აქტიური „მკვლელები“ (ნტენტიონალუ Mismatched Activated Killers - IMAK) თერაპია, ეფუძნება „ტრანსპლანტატი სიმსივნის წინააღმდეგ“ ეფექტს, რომელიც მიიღწევა ავთვისებიანი უჯრედების მიმართ ლიმფოციტების შეტევის ხარჯზე. სიმსივნის საწინააღმდეგო ეფექტის გაძლიერებლად, დონორის ლიმფოციტებს, მათი ცირკულაციის პროცესში დამატებით ასტიმულირებენ ინტერლეიკინ-2-ით.

კიბოს განადგურება ბუნებრივი „ქილერებით“ (AT-AK): ბუნებრივი „ქილერებით“ კიბოს განადგურება (Allogeneic Targeted Activated Cancer Killers - ATTACK) – ეს არის კიბოს საწინააღმდეგო იმუნოთერაპია, რომელიც ითვალისწინებს მინიმალური ნარჩენი დაავადების ლიკვიდაციასა და სიმსივნის საწინააღმდეგო ხანგრძლივი იმუნიტეტის სტიმულაციას. ეს სტრატეგია დაფუძნებულია ეფექტორული/სამიზნე უჯრედების ურთიერთქმედებაზე, იმუნურ უჯრედებსა და სიმსივნურ უჯრედებს შორის ფიზიკური კონტაქტის მეშვეობით. ის ააქტიურებს ციტოტოქსიკურ მექანიზმებს, რაც იწვევს დონორის უჯრედების მიერ სიმსივნის ეფექტურ ლიკვიდაციას და შემდეგ პაციენტში სიმსივნის საწინააღმდეგო იმუნიტეტის სტიმულირებას.

„CAR-T“ თერაპია: ამერიკის კლინიკური ონკოლოგიის საზოგადოების (ASCO) მიერ „CAR-T“ თერაპია 2018 წლის ოქტომბერში დაიწყო, იგი გამოიყენება ონკოჰემატოლოგიური დაავადებების – ლიმფომებისა და ლეიკემიების დროს. ის ეფუძნება პაციენტის საკუთარი T-ლიმფოციტების გამოყენებას.

„TIL“ – თერაპია: „TIL“-თერაპია არის სიმსივნეში ინფილტრირებული (შეღწევადი) ლიმფოციტებით თერაპია. აღნიშნული მეთოდი იყენებს თ-უჯრედებს, რომლებიც ბუნებრივად აღმოჩნდებიან პაციენტის სიმსივნეში და შეუძლიათ შეაღწიონ მის ღრმა ფენებში.

სიმსივნის საწინააღმდეგო ვაქცინები: დღეისათვის კლინიკურ ონკოლოგიაში დამტკიცებულია გამოსაყენებლად რამდენიმე ანტისიმსივნური ვაქცინა, რომლებიც ააქტიურებენ თ-ლიმფოციტებს და უზიძგებენ იმუნურ სისტემას სიმსივნეზე შეტევისკენ. ვაქცინაციის შედეგად იმუნური სისტემა აქტიურდება და მიზანმიმართულად ანადგურებს ონკომარკერის შემცვე-

ლ უჯრედებს, ამავდროულად არ იწვევს ჯანსაღი ორგანოებისა და ქსოვილების დაზიანებას.

ახალი გამოწვევები: მსოფლიოში წამყვანი სპეციალისტების დიდი ნაწილის აზრით – „კიბოს მკურნალობის მომავალი იმუნოთერაპიაა“. ამ თვალსაზრისით დავინყე სამეცნიერო ნაშრომების მოძიება, რომელთა შესწავლის საფუძველზე წარმოვადგინე ახალი თეზისები რომელთა თეორიული საფუძვლები ეყრდნობა თანამედროვე სამედიცინო მეცნიერების მიღწევებს, ადამიანის ორგანიზმის ანატომიურ, იმუნოლოგიურ, მორფოლოგიურ, კლინიკურ და ბიოლოგიურ ასპექტებს. ჩემს მიერ მოწოდებულ თეზისებს და მეთოდებს მიეკუთვნება: „რასა“ თერაპია (RASAT), „რაცა“ თერაპია (RACAT), „რალა“ თერაპია (RALAT) და „პრასა“ თერაპია (PRASAT).

„რასა“ (რეპრესირებული აუტო-სერო-ადიუვანტური) თერაპია (RASAT), რომელსაც იგივე მნიშვნელობით შეიძლება ეწოდოს „სასა“ (supresirebuli auto-sero-adiuvanturi) თერაპია (Suppressed auto-sero-adjutant therapy - „SASAT“), გახლავთ იმუნური სისტემის მასტიმულირებელი, ზოგადგამაჯანსაღებელი და ძირითადი სამკურნალო საშუალებების დამხმარე მეთოდი. იგი გულისხმობს სამკურნალო მიზნით პაციენტის საკუთარი ვენური სისხლიდან მიღებული შრატის შემადგენელი ელემენტების რეპრესირებული/სუპრესირებული (ინაქტივირებული, ატენუირებული) სახით კანკეშა ინექციას.

„რალა“ (რეპრესირებული აუტო-ლიმფო-ადიუვანტური) თერაპია (RALAT), – რომელსაც იგივე მნიშვნელობით შეიძლება ეწოდოს „სალა“ (სუპრესირებული აუტო-ლიმფო-ადიუვანტური) თერაპია (Suppressed auto-lympho-adjutant therapy - „SALAT“), გულისხმობს რეპრესირებული/სუპრესირებული (ინაქტივირებული, ატენუირებული) აუტოლოგიური (გულმკერდის სადინრის ან პერიფერიული ლიმფური კოლექტორების პუნქციით მიღებული) ლიმფით მკურნალობას – კანკეშა ინექციებით.

„რაცა“ (რეპრესირებული აუტო-ციტო-ადიუვანტური) თერაპია (RACAT), – რომელსაც იგივე მნიშვნელობით შეიძლება ეწოდოს „საცა“ (სუპრესირებული აუტო-ციტო-ადიუვანტური) თერაპია (Suppressed Auto-Cyto-Adjuvant Therapy - „SASAT“), გულისხმობს რეპრესირებული/სუპრესირებული (ინაქტივირებული, ატენუირებული) აუტოლოგიური უჯრედებით მკურნალობას, მათ შორის ბიოფსიური ან პოსტოპერაციული მასალიდან მიღებული ქსოვილოვანი უჯრედების დათრგუნული, აქტივობა დაქვეითებული და დასუსტებული სახით კანკეშა ინექციას.

„პრასა“ (პერორალური რეპრესირებული აუტო-სერო-ადიუვანტური) თერაპია (PRASAT), – რომელსაც იგივე მნიშვნელობით შეიძლება ეწოდოს „პსასა“ (პერორალური სუპრესირებული აუტო-სერო-ადიუვანტური) თერაპია (Peroral suppressed auto-sero-adjutant therapy - „PSASAT“), გულისხმობს რეპრესირებული/სუპრესირებული (ინაქტივირებული, ატენუირებული) აუტოლოგიური შრატის პერორალური ულუფებით მკურნალობას.

ჩემი ავტორობით მოწოდებული, ზემოაღნიშნული თეზისებისა და მეთოდების დასაწერად, სამომავლოდ საჭიროა აქტიურად გაგრძელდეს სამეცნიერო, ექსპერიმენტული და ლაბორატორიული კვლევები. ამისათვის მზად ვართ ვითანამშრომლოთ ყველა დაინტერესებულ კომპანიასთან, ნებისმიერ ქვეყანაში.

რეზიუმე

ონკოიმუნოლოგიის თანამედროვე ასპექტები და ახალი გამოწვევები

ვილი პაჭკორია

მედიცინის დოქტორი, პროფესორი, ზოგადი პროფილის
მკურნალი ექიმი, ონკოლოგი, კლინიკური ანატომი, საქართველოს ჰუმანიტარულ
და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

მსოფლიოში ცნობილი და ნამყვანი სპეციალისტების დიდი ნაწილის აზრით – კიბოს მკურნალობის მომავალი იმუნოთერაპიაა. უახლოეს წლებში ონკოლოგიაში მოხდება სამკურნალო სტრატეგიების ძირეული გადასინჯვა: აგრესიული მეთოდები, რომლებიც ვერ განასხვავებენ ავთვისებიან და ნორმალურ უჯრედებს, თანდათან დაკარგავენ თავიანთ პოზიციებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დავინყე სამეცნიერო ნაშრომების მოძიება, რომელთა შესწავლის საფუძველზე წარმოვადგინე ახალი თეზისები და მეთოდები, რომელთა თეორიული საფუძვლები ეყრდნობა თანამედროვე სამედიცინო მეცნიერების მიღწევებს, ადამიანის ორგანიზმის ანატომიურ, იმუნოლოგიურ, მორფოლოგიურ, კლინიკურ და ბიოლოგიურ ასპექტებს. აღნიშნულ თეზისებს და მეთოდებს მიეკუთვნება: „რასა“ თერაპია (RASAT), „რაცა“ თერაპია (RACAT), „რალა“ თერაპია (RALAT) და „პრასა“ თერაპია (PRASAT), რომელთა დასაწერგად, სამომავლოდ საჭიროა აქტიურად გაგრძელდეს სამეცნიერო, ექსპერიმენტული და ლაბორატორიული კვლევები. ამისათვის მზად ვართ ვითანამშრომლოთ ყველა დაინტერესებულ კომპანიასთან, ნებისმიერ ქვეყანაში.

SUMMARY

MODERN ASPECTS OF ONCOIMMUNOLOGY AND NEW CHALLENGES

VILI PACHKORIA

MD., PhD, Professor, Physician of General profile, Oncologist, Clinical anatomist,
True member of the Georgian Academy of Humanitarian and Arts Sciences

According to many of the world's leading and well-known specialists - the future of cancer treatment is immunotherapy. In the coming years, oncology will see a fundamental revision of treatment strategies: aggressive methods, which fail to differentiate between malignant and normal cells, will gradually lose their positions. Based on the above, I began searching for scientific papers, based on the study of which I presented new theses and methods, whose theoretical foundations are based on the achievements of modern medical science, the anatomical, immunological, morphological, clinical, and biological aspects of the human body. The mentioned theses and methods include: RASA therapy (RASAT), RACA therapy (RACAT), RALA therapy (RALAT), and PRASA therapy (PRASAT), for the implementation of which, in the future, scientific, experimental, and laboratory research needs to be actively continued. For this, we are ready to cooperate with all interested companies, in any country.

გამოყენებული ლიტერატურა

- Appay V, Douek DC, Price DA. CD8+ T cell efficacy in vaccination and disease. Nat Med. 2008;14:623–628. doi: 10.1038/nm.f.1774.
- Dunn GP, Old LJ, Schreiber RD. The three Es of cancer immunoediting. Annual review of immunology. 2004;22:329–360.
- Fukuhara H, Ino Y, Todo T (October 2016). Oncolytic virus therapy: A new era of cancer treatment at dawn. Cancer Science. 107 (10): 1373–79.
- Galluzzi L, Buque A, Kepp O, Zitvogel L, Kroemer G. Immunological Effects of Conventional Chemotherapy and Targeted Anticancer Agents. Cancer Cell. 2015;28:690–714. doi: 10.1016/j.ccell.2015.10.012.
- Hirayama M, Nishimura Y (July 2016). The present status and future prospects of peptide-based cancer vaccines. International Immunology. 28 (7): 319–28.
- Inoue S, Leitner WW, Golding B, Scott D. Inhibitory effects of B cells on antitumor immunity. Cancer Res. 2006;66:7741–7747. doi: 10.1158/0008-5472.CAN-05-3766.
- Marin-Acevedo JA, Soyano AE, Dholaria B, (January 2018). Cancer immunotherapy beyond immune checkpoint inhibitors. Journal of Hematology & Oncology. 11 (1): 8.
- Ott PA, Hodi FS, Kaufman HL, Wigginton JM, (2017). Combination immunotherapy: a road map. Journal for Immunotherapy of Cancer. 5: 16.
- Pfirschke C, Engblom C, Rickelt S, Cortez-Retamozo V, (February 2016). Immunogenic Chemotherapy Sensitizes Tumors to Checkpoint Blockade Therapy. Immunity. 44 (2): 343–54.
- Robert C. A decade of immune-checkpoint inhibitors in cancer therapy. Nat Commun. 2020;11(1):3801.
- Seidel UJ, Schlegel P, Lang P (2013). Natural killer cell mediated antibody-dependent cellular cytotoxicity in tumor immunotherapy with therapeutic antibodies. Frontiers in Immunology. 4: 76.
- Weiner LM, Surana R, Wang S (May 2010). Monoclonal antibodies: versatile platforms for cancer immunotherapy. Nature Reviews. Immunology. 10 (5): 317 27.

რეპრესირებული აუტო-სერო-ადიუვანტური თერაპიის (RASAT) მორფოლოგიური და კლინიკურ-ანატომიური ასპექტები

ვილი პაჭკორია

მედიცინის დოქტორი, პროფესორი, ზოგადი პროფილის მკურნალი ექიმი, ონკოლოგი, კლინიკური ანატომი, საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

უახლესი სამედიცინო მონაცემების თანახმად, ავტო-ჰემოთერაპიის, ავტოსეროთერაპიის, აუტოპლაზმოთერაპიის, პერორალური ავტოჰემოთერაპიის და სხვა, მსგავსი მეთოდების გამოყენებისას, გვერდითი მოვლენები მინიმუმამდეა დაყვანილი. მათი გამოყენება იძლევა ხანგრძლივ ეფექტს, მოკლე დროში მიიღწევა მდგომარეობის სტაბილიზაცია და განკურნება, როგორც მოზრდილებში, ასევე მოზარდი ასაკის ბავშვებში. მომატებული ვირუსული ფონის და მავნე მიკრობებით დაბინძურებული გარემოს პირობებში, ადამიანის იმუნური სისტემა დასუსტებულია, ამიტომ ზემოაღნიშნული მეთოდებით მკურნალობა განსაკუთრებით აქტუალური ხდება.

ჩემს მიერ მონოღებულ „რასა“ თერაპიის თეზისი და მეთოდი, ეყრდნობა თანამედროვე სამედიცინო მეცნიერების მიღწევებს, ადამიანის ორგანიზმის ანატომიურ, იმუნოლოგიურ, მორფოლოგიურ, კლინიკურ და ბიოლოგიურ ასპექტებს. აღნიშნული ასპექტების ძირითად მატერიქსს წარმოადგენს: უჯრედი; უჯრედული ციკლი; აპოპტოზი; ბაქტერიები; ბაქტერიოფაგები; ვირუსები, იმუნური სისტემა, ლიმფა და ლიმფური სისტემა, სისხლი და სისხლის მიმოქცევის სისტემა; სიმსივნე და უჯრედული ციკლი; მეტასტაზი და მეტასტაზირება; სეროთერაპია; იმუნოთერაპია; თარგეთული თერაპია და სხვა.

„რასა“ ანუ რეპრესირებული აუტო-სერო-ადიუვანტური თერაპია (Repressed auto-sero-adjuvant therapy - „RASAT“), რომელსაც იგივე მნიშვნელობით შეიძლება ეწოდოს „სასა“ (სუპრესირებული აუტო-სერო-ადიუვანტური) თერაპია (Suppressed auto-sero-adjuvant therapy - „SASAT“), გახლავთ იმუნური სისტემის მასტიმულირებელი, ზოგადგამაჯანსაღებელი და ძირითადი სამკურნალო საშუალებების დამხმარე მეთოდი. იგი გულისხმობს სამკურნალო მიზნით პაციენტის საკუთარი ვენური სისხლიდან მიღებული შრატის შემადგენელი ელემენტების რეპრესირებული/სუპრესირებული (ინაქტივირებული, ატენუირებული) სახით კანქვეშა ინექციას.

აუტოლოგიური შრატი (აუტოშრატი) არის ბიოლოგიური პროდუქტი, რომელიც მზადდება პაციენტის საკუთარი სისხლისაგან, მუშავდება სტერილურ პირობებში სპეციალური მეთოდების გამოყენებით და ინახება პერსონალური გამოყენებისთვის. იგი შეჰყავთ კანქვეშა, თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალური სქემის მიხედვით. სისხლის შრატი შეიცავს ციტოკინების ფართო სპექტრს (ინტერლეიკინები, პროსტაგლანდინები, სეროტონინი და სხვ.).

აუტოშრატს აქვს ანთების საწინააღმდეგო, ანტივირუსული, ანტიმიკრობული ეფექტი. იგი ასტიმულირებს იმუნურ სისტემას. უნიკალური თვისებებისა და შემადგენლობის გამო, აუტოლოგიური შრატი წარმატებით გამოიყენება მრავალი დაავადების კომპლექსურ მკურნალობაში, სხვადასხვა მიმართულებით: ალერგოლოგიაში, იმუნოლოგიაში, პედიატრიაში, გინეკოლოგიაში, დერმატოლოგიაში და უროლოგიაში.

იმუნური სისტემა ჯანმრთელ ადამიანებში მუდმივად ახდენს პათოგენებისა და მუტირებული უჯრედების

ბის დეტექციასა და ელიმინაციას. თუმცა, სხვადასხვა მიზეზებით, ეს ბუნებრივი მეთვალყურეობის სისტემა ხანდახან ირღვევა და ვითარდება გარკვეული დაავადებები.

„რასა“ თერაპიის არსი მდგომარეობს – განამტკიცოს და გააძლიეროს ორგანიზმის იმუნური სისტემა. იგი დაფუძნებულია პაციენტის აუტოლოგიური შრატის გამოყენებაზე (ავადმყოფის საკუთარი სისხლის შრატით, პლაზმით ან ექსუდატით მკურნალობაზე), იგი საშუალებას იძლევა მივიღოთ დაავადებების რემისია ან მნიშვნელოვნად შევამციროთ მისი სიმპტომები, შევზღუდოთ მედიკამენტების გამოყენების აუცილებლობა და მოკლე დროში მივაღწიოთ პაციენტის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

„რასა“ თერაპია შეიძლება „ახალი სიტყვა“ აღმოჩნდეს ონკოლოგიაში, საზგასმით უნდა ითქვას, რომ კიბოს დამარცხების გასაღები – თავად პაციენტის იმუნურ სისტემაში უნდა ვეძებოთ. როგორც ცნობილია, სიმსივნური უჯრედები ანტიგენურად განსხვავდება შესაბამისი ნორმალური უჯრედებისგან, გამომდინარე აქიდან, სიმსივნური უჯრედები ორგანიზმის იმუნური ზედამხედველობის მეშვეობით ინვესს „სიმსივნურ ანტიგენზე“ მიმართულ იმუნურ რეაქციას“, სადაც ძირითად როლს ასრულებს ლიმფოციტები. „რასა“ თერაპიის ფარგლებში აუტოლოგიური შრატის რეპრესიით (სუპრესიით), ფაქტიურად ვახდენთ პათოგენური უჯრედის ხელოვნურად დათგრუნვა-დაკნინებას („გამიშვებას“) და „ხილულს“ ვხდით მას იმუნური სისტემის უჯრედებისთვის, რაც აძლევს საშუალებას იმუნურ ურედებს, „გაუადვილდეთ“ ლიმფო- და ჰემატოგენურ გზებში (მათ შორის ლიმფისა და სისხლის საერთო კოლექტორში – v.cava superior-ში) მოხვედრილი პათოგენური (ანტიგენური, ატიპური და მეტასტაზური) უჯრედების დეტექციისა და ერადიკაციისა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „რასა“ თერაპიის გამოყენების ერთერთ ჩვენებას შეიძლება წარმოადგენდეს სიმსივნის მეტასტაზირების მკურნალობა ან პროფილაქტიკა.

რეპრესირებული აუტო-სერო-ადიუვანტური თერაპია (RASAT), ხელმისაწვდომია, როგორც სტაციონარულ, ისე ამბულატორიულ პირობებში. მეთოდის დეტალური აღწერილობა, მოქმედების მექანიზმი, განხორციელების გზები (პროცედურები), ჩვენება, უკუჩვენება და გვერდითი მოვლენები ვრცლად არის გადმოცემული, ჩემი ავტორობით შედგენილ მონოგრაფიაში – „რასა თერაპია (RASAT) მორფოლოგიური, კლინიკური და ანატომიური ასპექტებით“.

„რასა“ თერაპიის პარალელურად, ჩემს მიერ მონოღებულია სხვა ახალი (ალტერნატიული) თეზისები და მეთოდები, როგორიცაა: „რალა“ (რეპრესირებული აუტო-ლიმფო-ადიუვანტური) თერაპია (ლემფესიდ auto-lympho-adjuvant therapy - „RALAT“), „რაცა“ (რეპრესირებული აუტო-ციტო-ადიუვანტური) თერაპია (ლემფესიდ auto-cyto-adjuvant therapy - „RACAT“), „პრა-

სა“ (პერორალური რეპრესირებული აუტო-სერო-ადიუვანტური) თერაპია (Peroral repressed auto-sero-adjutant therapy - „PRASAT“). აღნიშნული თეზისების და მეთოდების დასაწერად, სამომავლოდ საჭიროა აქტიურად გაგრძელდეს სამეცნიერო, ექსპერიმენტული და ლაბორატორიული კვლევები.

წინამდებარე ნაშრომები, იმედია საინტერესო სიახლე გახდება სამეცნიერო საზოგადოებისთვის. ამავე დროს მისაღება სალი კრიტიკაც, რადგან სამედიცინო მეცნიერება არის ცოცხალი ორგანიზმი – მჩქევნად ჩანჩქერი, რომელიც კრიტიკის გარეშე დაგუბებულ ჭაობს დაემსგავსება.

რეზიუმე

რეპრესირებული აუტო-სერო-ადიუვანტური თერაპიის (RASAT) მორფოლოგიური და კლინიკურ-ანატომიური ასპექტები

ვილი პაჭკორია

მედიცინის დოქტორი, პროფესორი, ზოგადი პროფილის მკურნალი ექიმი, ონკოლოგი, კლინიკური ანატომი, საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

„რეპრესირებული აუტო-სერო-ადიუვანტური თერაპია“ (RASAT), რომელსაც იგივე მნიშვნელობით შეიძლება ეწოდოს „სუპრესირებული აუტო-სერო-ადიუვანტური თერაპია“ (SASAT), გახლავთ ორგანიზმის იმუნური სისტემის მასტიმულირებელი, ზოგადგამაჯანსაღებელი და ძირითადი სამკურნალო საშუალებების დამხმარე მეთოდი. იგი გულისხმობს სამკურნალო მიზნით, პაციენტის საკუთარი ვენური სისხლიდან მიღებული შრატის შემადგენელი ელემენტების რეპრესირებული აუტო-სერო-ადიუვანტური (ინაქტივირებული, ატენუირებული) სახით კანქვეშა ინექციას.

აღნიშნული მეთოდის დასაწერად, სამომავლოდ საჭიროა აქტიურად გაგრძელდეს სამეცნიერო, ექსპერიმენტული და ლაბორატორიული კვლევები.

SUMMARY

MORPHOLOGICAL AND CLINICAL-ANATOMICAL ASPECTS OF REPRESSED AUTO-SERO-ADJUVANT THERAPY (RASAT)

VILI PACHKORIA

MD., PhD, Professor, Physician of General profile, Oncologist, Clinical anatomist, True member of the Georgian Academy of Humanitarian and Arts Sciences

Repressed Auto-Sero-Adjuvant Therapy (RASAT), which can also be called Suppressed Auto-Sero-Adjuvant Therapy (SASAT) with the same meaning, is a method that stimulates the body's immune system, improves general health, and serves as an auxiliary method for primary therapeutic agents. It involves, for therapeutic purposes, the subcutaneous injection of constituent elements of serum obtained from the patient's own venous blood, in a repressed/suppressed (inactivated, attenuated) form.

To implement this method, in the future, it is necessary to actively continue scientific, experimental, and laboratory research.

გამოყენებული ლიტერატურა

- Alberts B. et al. // Molecular biology of the cell, 5th edition, Garland science, 2008, ISBN 978-0-8153-4105.
- Anitua M, Sanchez E, Nurden A, Nurden P, Orive G, Andia I. New insights into and novel applications for platelet-rich fibrin therapies. Trends Biotechnol. 2006;24(5):227-34.
- Berghoff W, Pietrzak W, Rhodes R. Platelet-rich plasma application during closure following total knee arthroplasty. Orthopedics. 2006.
- Taylor M, Norman T, Clovis N, Blaha D. The response of rabbit patellar tendons after autologous blood injection. Med Sci Sports Exerc. 2002;34(1):70-3.
- В.В. Бондаренко. Применение PRP в дерматологии: обзор современных подходов // Медицинский алфавит №9, 2021, Дерматология (1). С. 55-58.
- К.А. Егизарян, М.А. Данилов, Р.М. Абдусаламов, Г.А. Флджян. Внутрикостное и внутрисуставное введение обогащенной тромбоцитами плазмы в лечении остеоартроза коленного сустава // Кафедра травматологии и ортопедии №1 (39), 2020. С. 5-12
- Новиков Д. К., Новиков П. Д., Титова Н. Д. // Клиническая иммунология и аллергология // . – Минск : Выш. шк., 2019. – 495 с.
- Новиков Д.К., Новиков П.Д., Смирнова О.В., Семенова И.В., Величинская О.Г. // АУТОСЕРОГИСТАМИНОТЕРАПИЯ АЛЛЕРГИЧЕСКИХ ЗАБОЛЕВАНИЙ / БЕЛАРУСЬ / Витебск – 2014;
- Семенова И. В., Выхристенко Л. Р. // Оценка эффективности внутрикостной аутосеротерапии в неспецифическом лечении сезонных аллергических риноконъюнктивитов / Витебск, 14-15 нояб. 2013 г. / Вит. гос. ун-т ; / Витебск, 2013. – С. 147-149.
- Семенова И. В., Выхристенко Л. Р., Новиков Д. К. // Оценка эффективности алергенспецифической иммунотерапии и аутосерогистаминотерапии при поллинозах и пыльцевой бронхиальной астме / Иммунопатология, аллергология, инфектология. - 2014. - № 3. - С. 29-38.

THE EFFECTIVENESS OF PSYCHOTHERAPY TREATMENT FOR SOMATOFORM DISORDERS IN CHILDREN AND ADOLESCENTS: AN ARTICLE

*KHUNDADZE MARIAM, RAJVELISHVILI NINO,
NIKOLAISHVILI RUSUDANI, AJALIEVA AISEL, DEVDARIANI BARBARE,
IMERLISHVILI KRISTINE*

Somatoform disorders, characterized by physical symptoms without a clear medical explanation, can significantly impact the well being and functioning of children and adolescents. In recent years, there has been an increasing prevalence of these disorders in young populations, underscoring the need for effective treatment approaches.(Heimann et al., 2018) Psychotherapy has emerged as a promising intervention, with various modalities demonstrating promising outcomes.(Cruz et al., 2014)

One such approach is the use of therapeutic fact sheets within a family-based rehabilitation intervention (Cruz et al., 2014). These fact sheets provide information about functional somatic symptoms, their assessment, and treatment, from a stress-system framework. The goal is to facilitate family engagement and reduce parental anxiety and reactivity, which can contribute to the maintenance of symptoms. This multimodal intervention has shown positive results, with improvements in symptom reduction and overall functioning.

In addition to family-based approaches, individual psychotherapy has also demonstrated efficacy in treating somatoform disorders in children and adolescents. Cognitive-behavioural therapy (CBT), in particular, has been found to be effective in addressing the underlying cognitive and behavioural factors that contribute to the development and perpetuation of somatic symptoms. Exposure-based techniques, which gradually confront the child or adolescent with feared physical sensations or situations, have also been shown to reduce symptom severity.

FOR THE TREATMENT EFFECTIVENESS

Psychoeducation is crucially important to provide for children, adolescents and their parents. Psychoeducation is a professionally delivered treatment modality that involves psychotherapeutic and educational interventions (Lukens & McFarlane, 2004). Cognitive behavioral therapy along with a psychoeducation is an optimal approach to deal with somatoform disorders (Khundadze 2015).

This article will review the current evidence on the effectiveness of psychotherapy treatments for somatoform disorders in children and adolescents. Specifically, we will examine the efficacy of various psychotherapeutic modalities, including cognitive-behavioral therapy (CBT), family therapy, and psychodynamic therapy, in reducing physical symptoms and improving overall functioning in this population. Additionally, we will explore factors that may impact the success of psychotherapy, such as treatment setting, therapist characteristics, and client demographics (Dorsey, S. et al., 2019). Accumulated research suggests that psychotherapy, particularly cognitive-behavioral approaches, can be an effective intervention for alleviating physical symptoms and enhancing overall functioning in children and adolescents with somatoform disorders (Dorsey, S. et al., 2019)(Chorpita, F. B. et al., 2011). However, chal-

lenges remain in translating these evidence-based practices into real-world school and community settings.(Thompson, A., 2011)(Hunter, C. W., Elswick, S. and Casey, L., 2017) Ongoing research is needed to further refine and disseminate psychotherapeutic approaches that address the unique needs of youth struggling with somatoform disorders.

The research based on systematic review of literature reached from Medline, PsychInfo, GoogleScholar, Cochrane databases. This work includes review papers and original articles on the somatoform disorders psychotherapy treatment effectiveness.

The aim of the study is to test the hypothesis whether psychotherapy treatment along with psychoeducation is the most effective approach to treat somatoform disorders.

The study was based on a review of sixty relevant articles.

Challenges related to childhood psychopathology are especially long lasting, including the advancement in comorbidity, disability, suicidality, and lower educational and vocational achievement (Costello & Maughan, 2015 Roest et al 2023). Although successful treatments exist for the management of emotional or behavioral disorders in young people, still little is known about their outcomes in the long run. Most randomized controlled trials on the effectiveness of dealings for frequent childhood mental conditions have only concentrated on outcomes after several weeks to several months of treatment (Roest et al 2023). Several findings, however, have indicated that children and adolescents who received treatment can better handle challenges in life than those with similar problems who stayed untreated. Studies especially focusing on psychopharmacology have also indicated possible long-term side effects (Jeorg et al., 2012. Carucci et al., 2021). Several research studies stipulate that the benefits of pharmacological treatments decrease over time and that long-term effects are small, if present at all. Additionally, benefits are even smaller in mild to moderate compared to acute cases (Kazda et al., 2021). For instance, Pharmacological intervention for ADHD has moderate side effects in the short-term, such as decrease of appetite and sleep disturbing, and is associated with high withdrawal rates, that is, 2044% (Kazda et al., 2021).

As well, managements of attention deficit and hyperactivity disorder (ADHD) involve pharmacological and psychosocial involvements. (Roest et al 2023). Nonpharmacological approaches for ADHD include psychosocial interventions of either the child and/or the parents or in some cases academic involvements in school settings. The research conducted on the success of these types of interventions in the long term is few and therefore the evidence is lacking (Charach et al., 2011 Roest et al 2023).

The study by Roest et al 2023 focused on measuring whether the management of common childhood mental disorders is successful and harmless in the long term, two years and

above. The study evaluates the accessible evidence for the long-term effectiveness and safety of treatments for the most frequently occurring childhood mental disorders. For research purposes the study followed two approaches: (1) methodological difficulties in establishing long-term treatment effects and (2) the risk-benefit ratio of treatments for common childhood mental disorders. The study performed systematic reviews on the long-term, two years and more, success and damages of treatment for attention deficit hyperactivity disorder (ADHD), behavior, anxiety, and depressive disorders for children between 6 and 12 years old. The study, however, could not find any evidence for the long-term treatment of childhood anxiety or depressive disorders (Roest et al 2023). As well, evidence for adverse effects for pharmacological intervention in the long-term is limited, as there are not enough studies and therefore proper comparison groups (Carucci et al. 2021). Although, certain studies suggest that stimulant medications cause both height and weight suppression (Kazda et al. 2021). However, the lack of evidence for clear long-term benefits, the damages of pharmacological treatment may overshadow the benefits, especially in the long term and severe cases (Kazda et al., 2021). A research study conducted by Pillay et al. (2018) investigated the harms of first and second-generation antipsychotics in the treatment of psychiatric and behavioral conditions in children, teenagers, and young adults. Antipsychotics prescribed for behavior disorders are linked to side effects such as extrapyramidal symptoms (particularly with first-generation antipsychotics), weight gain, sleepiness, sedation, and high triglyceride levels. Again, there are few studies with a long-term follow-up. However, second-generation antipsychotics have been found to also raise the risk for weight gain, high cholesterol, and type-2 diabetes in the long term (Pillay et al., 2018). Therefore, clinicians should try to avoid antipsychotics, especially in mild and moderate cases and search for alternatives such as psychotherapy. Among psychosocial treatments, parent-level and multicomponent programs showed positive long-term effects (Epstein et al., 2015).

For instance, among recommended treatment approaches for body dysmorphic disorder (BDD) is cognitive behavioral therapy without selective serotonin reuptake inhibitors. Body dysmorphic disorder (BDD) usually emerges during teenage years, impacts almost 2% of adolescents (Krebs, Clark, Ford, & Stringaris, in press; Veale, Gledhill, Christodoulou, & Hodson, 2016; Krebs et al., 2022; Krebs, Clark, et al., in press; Rautio et al., 2022). Despite its frequency and morbidity, BDD is often non-recognized and left untreated in Child and Adolescent Mental Health Services across the world (Dyl, Kittler, Phillips, & Hunt, 2006; Grant, Kim, & Crow, 2001; Krebs, Rifkin-Zybutz, Clark, & Jassi, 2023). The study aims to provide a synthesis of the recent literature on BDD in young people, that is, relevant to clinical practitioners and policymakers.

The characteristics of BDD are the following: The patients with body dysmorphic disorder express an extreme preoccupation with perceived flaws in physical appearance that appear minor or are completely unobservable to others. Appearance worries in BDD can relate to any body part, but facial features are the most common focus and mostly young people have many appearance worries (American Psychiatric Association, 2013; Rautio, Jassi, et al., 2022). In a struggle to deal with appearance distresses, young people with BDD usually engage in time-consuming, repetitive behaviors, often involving checking, concealing or correcting their supposed flaws. They may also

become extremely avoidant, for example, of social meetings or places with bright lighting (Krebs et al., 2022). For an identification of BDD, the appearance obsession and repetitive behaviors must be distressing and impairing (American Psychiatric Association, 2013). Multiple studies suggest that non-shared environmental experiences play a crucial role in the progress of BDD. Acknowledging these environmental factors is key to managing the BDD (Ahmadpanah et al., 2019; Alsaidan et al., 2020; Gupta, Jassi, & Krebs, 2023; Ryding & Kuss, 2020). Even when young people with BDD do present to mental health services, they usually refer to other symptoms rather than their look worries, which may result in misdiagnosis (depression, social anxiety disorder) and finding proper treatment (Krebs, Rifkin-Zybutz, et al., 2023).

Additionally, clinician should evaluate for specific family aspects that may prolong a young person's BDD. Parents often get drawn into BDD-related forms of behavior: for example, enabling avoidance, keeping unnecessary reassurance about appearance and supplying large quantities of cosmetic stuff. This process is often referred to as family adaptation (Jassi, Baloch, Thomas-Smith, & Lewis, 2020).

A meta-analysis six of which were conducted with adults and one with adolescents indicate CBT to be the most effective in treating BDD and anxiety management (Cohen's $d = 1.22$) (Harrison et al., 2016).

As well, CBT is effective in treating any form of depression and BDD related depression (Harrison et al., 2016).

In a study 30 adolescents with BDD were randomly assigned to receive 14 sessions of CBT for BDD followed by psychoeducation and weekly monitoring. CBT sessions remarkably reduced BDD (Cohen's $d = 1.13$). Furthermore, CBT causes secondary outcomes improvements, including anxiety, depression, and general quality of life. The reached effect was maintained at 12-month follow-up. Though, the findings emphasize that some young people with BDD may need more widespread treatment packages, which could include a longer course of CBT, home-based CBT sessions, and medication optimization (Krebs et al., 2024).

